გელა (გელუკა) ბუიღლიშვილი

ზღაპრები
ლექსები
ჩანახატები

ქუთაისი

2017

გელა(გელუკა) ბუიღლიშვილი — ახალგაზრდა მწერალი. დაიბადა 1998 წლის 27 ივლისს, ქალაქ ქუთაისში. არის სამი წიგნის ავტორი.

მესამე კლასიდან დაიწყო წერა. თავდაპირველად თხზავდა ზღაპრებს, ხატავდა. აქვეყნებდა საბავშვო ჟურნალ „კარუსელში“, გაზეთ

„თერჯოლაში“. მოგვიანებით თერჯოლის მოსწავლე-ახალაგზრდობის სასახლეში განხორციელდა პროექტი „მზიანი დღეები“(ხელმძღვანელი ნ. გამყრელიძე). დაიდგა გელუკას სპექტაკლი „უსახელო ქალაქი და ბიჭი“. ჩეხურმა არაკომერციულმა ორგანიზაციამ „PIN” გელუკა ბუიღლიშვილი დააჯილდოვა „პატარა მეზღაპრის“ ტიტულით და დაუფინანსა პირველი წიგნი „საჭორეთიდან მოფრენილი ფურცლები“.(2012 წ.) მეორე წიგნი “მელანი მთა“ 2014 წელს ამერიკელ

პედაგოგთან ფილიპ კუნზთან ერთად გამოსცა. მესამე წიგნი „მოლოდინი“ ახლახან გამოსცა მსოფლიო ბანკის დაფინანსებით.

გელუკა აქტიურად მონაწილეობს ნორჩ შემოქმედთა ლიტერატურულ კონკურსებში. არის არაერთგზის გამარჯვებული.

2012 წლიდან მონაწილეობს მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით

კონფერენციებში. გეოგრაფია-ბიოლოგიისა და შემოქმედ მოსწავლეთა სექციის არაერთგზის გამარჯვებული და დიპლომების მფლობელია.

2015 წელს „საკუთარი ორიგინალური ხედვისა და პოეტური აზროვნებისათვის“ საქართველოს მწერალთა სახლის რჩეული გახდა. 2016 წელს საქართველოს შემოქმედ მოსწავლეთა შეკრება „კალმოსნის“ დიპლომის მფლობელი, საქველმოქმედო ორგანიზაცია „ადენესის“ რჩეულია.

2017 წელს მოსწავლეთა 71-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე გელა ბუიღლიშვილი დაჯილდოვდა ეროვნული სასახლის დიპლომით, ნომინაციაში -„თემის მიგნების ალღო, მწერლური ხედვა,

ჩანაფიქრის ორგინალურად ხორცშესხმა.“ აგრეთვე გადაეცა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის დიპლომი,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დიპლომი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის რჩეულს გადაეცა „პლანშეტი“ პირადად ბატონ გიორგი კეკელიძისაგან.

იბეჭდებოდა რაიონულ გაზეთში“ თერჯოლა“, „ათინათი“, იმერეთის რეგიონულ გაზეთში „იმერეთის მოამბე“, გაზეთში“ახალი განათლება“, გაზეთში „გალაკტიონი“, „მწერლის გაზეთში“.

წერს ლექსებს, ჰაიკუს, ესეს, ჩანახატებს, მინიატურებს, ზღაპრებს,

პიესებს, სცენარებს. არის არაჩვეულებრივი დეკლამატორი. ხვდება მოსწავლეებს და მართავს შეხვედრებს. გელუკას სპექტაკლები იდგმება სასახლისა და სკოლის სცენაზე.

გელუკა აქტიურად მონაწილეობს საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტში „G-PRID”. დაგეგმა რამდენიმე გაკვეთილი, რომელიც მოწონებულ იქნა და შევიდა სასწავლო რესურსად საქართველოს სკოლებში.

მოგზაურობა იტალიაში

იტალია... ჩემი საოცნებო ქვეყანა...

მაშ ასე, იტალიაში მივდივარ..იტალიაში, სადაც ჩემი საჭორეთის გმირები ცხოვრობენ. ძალიან მიხარია. მე ხომ ყოველთვის მინდოდა ამ ქვეყანაში მოგზაურობა.

ბარგი სასწრაფოდ ჩავალაგე და აეროპორტისაკენ გავწიე. თვითმფრინავი „თბილისი - მილანი“ ასაფრენ ბილიკზე იდგა. დადგა სანატრელი წუთიც და ვერცხლისფერი ლაინერი ცაში აიჭრა.

_Buongiorno Italia! (დღე მშვიდობისა, იტალია!)

გზადაგზა ცნობებს ვაგროვებ:“იტალია იტალიკების ტომებით ყოფილა დასახლებული. ლადინები, ოსკები, უმბრები, პიცენები და სხვ. მათგან ყველაზე უდიდესი ტომი ლატინები ყოფილა. იტალიის ცენტრი ეტრუსკებით ყოფილა დასახლებული, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს იტალიის კულტურაზე.

ისინი შემდგომში რომაელების მიერ იყვნენ ასიმილირებულნი“.

დღევანდელი იტალია 20 რეგიონისაგან შედგება.მოსახლეობის 94%-ს იტალიელები შეადგენენ.

პირველად მილანში ჩავფრინდი. მილანიდან ვენეციისაკენ გამიწია გულმა.(თუმცა სხვა ქალაქების:გენუის, ბოლონიის ნახვაც მეწადა.)

ვენეცია..

ვენეცია_“არხების ქალაქი“ ჩრდილო_აღმოსავლეთ იტალიაში. თურმე 118 პატარა კუნძულზეა განლაგებული, რომლებიც ერთმანეთს არხებით გამოეყოფა. მდინარეების პოსა და პიავეს შორის მდებარეობს. ეს ქალაქი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში არის შეტანილი. აქ ხალხი სპეციალური ნავებით“გონდოლებით“ გადაადგილდება.

გონდოლებით ბევრი ვისეირნე... ბოლოს რესტორანს მივაშურე.

_ოფიციანტო, მომიტანეთ, გეთაყვა, ქათამი ლ’ რომა, ბრუსკეტი, ლიმონჩელო!

(კარგად ვიყენებ იტალიურ სასაუბროს).

_ტენგა სინიორე(იტალ.)_ინებეთ, ბატონო_მპასუხობს ის.

კარგად დავნაყრდი და ნიღბების ფესტივალზე წავედი. ქუჩაში უამრავ ნიღბოსანს მოეყარა თავი. ჭრელა_ჭრელა სამოსში გამოწყობილნი საკრავებს ახმაურებდნენ, ცეკვავდნენ და მღეროდნენ.

მოულოდნელად სინიორ ფრანჩესკოს მოვკარი თვალი. ჭადრაკული შორტი ეცვა, გულგაღეღილი პერანგი. მან მისალმების ნიშნად შავი ხელი მაღლა ასწია

(ძალიან კი იყო მზეზე გარუჯული!) და დამიძახა: Come sta? (როგორ ბრძანდებით?)

მარჯვენა ხელის ცერა თითი მაღლა ავწიე. ფრანჩესკოს გაუხარდა და ვიღაც ნიღბიანს სწვდა. მას ჩაქუჩი ეჭირა ხელში.

_ ვაი, დომენიკო ჩაქუჩა ყოფილა! თქვე მართლა ნიღბიანებო, თქვენი ხასიათი თქვენვე ვერ გაგირკვევიათ და თქვენ ნიღბები გინდათ კიდევ?_ დავუძახე მე.

ძახილს ვინღა გაიგონებდა. დომენიკოს ვიღაც დოლიანი კაცი დაეჯახა და ორივენი ძირს წაიქცნენ.

ჩემი გმირები...როგორ გამებნენ ამ ნიღბების ჭიდილში, მაგრამ მაინც მოგნახავთ

თუ ვყოფილვარ გელუკა ანუ სინიორ პაოლო. არსად წასვლას არ ვაპირებ!

საჭორეთიდან მოფრენილი ფურცლები

ეს პატარა კუთხე არც ერთი ქვეყნის რუკაზე აღნიშნული არ იყო, მაგრამ მაინც კუთხე ერქვა და იქ მცხოვრებლებსაც ძალიან უყვარდათ. ისინი კი არც

ისე მრავლად იყვნენ: ფრანჩესკო ტრაბახა, სინიორა ენატანია, მარსელო ყველგან ცხვირისჩამყოფი, დომენიკო ჩაქუჩა, სინიორა ალისა, სინიორა რომელეტა და

კიდევ რამდენიმე სხვაც.

ლამაზი იყო საჭორეთი: მშვენიერ მდელოებით, ანკარა წყლით, საუცხოო სახლებით. აქ მცხოვრებთა ძირითად საქმიანობას, არ გაგიკვირდეთ და ჭორაობა წარმოადგენდა. ისე, ძველი ეგვიპტელების მსგავსად, მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასაც მისდევდნენ, თუმცა“ნომბებად“ არ ცხოვრობდნენ და არც ტომის ბელადი არ ჰყავდათ.(რად უნდოდათ ბელადი, ისედაც ყველა ბელადობდა

და ყელს იღერებდა!)

ე.წ. „ბირჟაზე“ ან კერძო სახლებში გამომცხვარი ცხელ-ცხელი ჭორები, ყოველ

დილით, შრიალ-შრიალით დაუვლიდა საჭორეთის ქუჩებს და ახალ დეტალებს შეიმატებდა. მერე დაიხვეწებოდა და საღამოს გალამაზებული და

გამშვენიერებული საჭორეთლების გულებს და ყურებს ატკბობდა.

საჭორეთში ერთი უცნაური მეზღაპრე ცხოვრობდა, სახელად სინიორ პაოლო.

ის საჭორეთის მცხოვრებლებს არ ჰგავდა. არც ტრაბახი უყვარდა და არც ჭორები. მეტად სუფთა იყო პაოლო და კარგი გარეგნობითაც გამოირჩეოდა. ხელმოკლე იყო, მაგრამ კეთილი და მხიარული. ხანდახან ფრაკსაც ჩაიცვამდა, შლაპას

დაიხურავდა და მთელი დღე დაეხეტებოდა აქეთ_იქით. ბავშვები უყვარდა, სადაც ნახავდა ტკბილეულს და ბუშტებს ჩუქნიდა.

საღამოს ხეტიალისაგან დაღლილი დაჯდებოდა და ზღაპრებს წერდა ან ხატავდა. მისი ოთახი ფურცლებით იყო მოფენილი. ამ უცნაურ პაოლოს ხან ფანჯრების დახურვა ავიწყდებოდა, ხან_ კარის.

ერთ მშვენიერ დღეს პაოლო სადღაც წავიდა სახეტიალოდ, თურმე ფანჯარა

ღია დარჩენოდა. ქარს მისი ნაწერი ფურცლები ოთახიდან გარეთ გადმოეფრიალებინა და შორს გაეფანტა.

აი, ასე მოეფინა ქვეყანას, ჩემო მკითხველებო, საჭორეთიდან მოფრენილი ფურცლები და თქვენამდე მოაღწია.

ფრანჩესკო ტრაბახას ზღაპარი

ფრანჩესკო ტრაბახა საჭორეთის კოლორიტი იყო. მის გარეშე არც ერთი ჭორი არ შეიქმნებოდა. ფრანჩესკო იყო ჭორების შემოქმედი და მშობელი. მის ძირითად საქმიანო

ბას, გარდა ამისა, ტრაბახი წარმოადგენდა. საჭორეთის „ბირჟაზე“ მჯდარი ყველა საკითხ

ზე თავის აზრს გამოთქვამდა, ყველას საქმეს განიხილავდა, ყველას ჭკუას ასწავლიდა, ყვე

ლასა და ყველაფერზე რაღაც იცოდა. მისთვის თავისუფლად შეგვეძლო დაგვერქმია „ფრა

ნჩესკო ბრძენი“. ეს ტიტულიც დაამშვენებდა, მაგრამ საჭორეთის მცხოვრებლებმა ტრაბახის

გამო „ფრანჩესკო ტრაბახა“ შეარქვეს.

ჰო, ჰო რას ტრაბახობდა! მისი კატა ყველაზე დიდი და ჭკვიანი იყო საჭორეთის კატებს შორის, მისი ძაღლი_ ყველა ძაღლზე მყეფარა და შავი, მისი მამალი ყველაზე მაღალ ნოტზე ყიოდა, მისი დედლები ყველაზე მეტ კვერცხს დებდნენ, ყველაზე მსუყე და

გემრიელ კერძებს მისი მსუქანი ცოლი რომელეტა აკეთებდა, მისი ავეჯი ყველაზე საუკეთესო იყო, მისი ღვინო ყველაზე მეტად ათრობდა, მისი ბაღი ყველაზე თვალწარმტაცი იყო, მისი აბანო ყველაზე მეტად ბანდა, რადგან მისი საპონი ყველაზე კარგად ქაფავდა.

რა ექნათ საჭორეთის მცხოვრებლებს, ისმენდნენ და თავებს აკანტურებდნენ.

ახლაც იჯდა და ტრაბახით ყურებს უყრუებდა მეზობლებს:“ აგერ დომენიკო ჩაქუჩა, ნახევრად მშიერ_მწყურვალი დადის, საცაა ქარი წააქცევს, ან ერთ ღობეს გადაეკიდება, ან მეორეს. აბა, მე შემომხედეთ, ყველაფერი ბლომად მაქვს: წყალი, ჰაერი, სასმელი და საჭმელი.

არაფერი არ მაკლია! ახლაც ჩემი საყვარელი მეუღლე იზოტოს მიმზადებს, ზედ ძვირფას

ღვინოს დავაყოლებ და მერე შემომხედოს ბარეორმა.“

ფრანჩესკომ ჩაიხითხითა და ტრაბახი გააგრძელა.

მალე ყველა შემოეცალა. მიიხედ-მოიხედა და მარტო მარსელო ყველგანცხვირისჩამყოფი შერჩა ხელში. მარსელოს კისერი დაეგრძელებინა და გაფაციცებით უსმენდა.

ფრანჩესკო წამოდგა და შინისაკენ გასწია. ეზოში მიკნავლებული კატა და ძაღლი ერთმა_ ნეთზე მიწვენილიყო.

ფრანჩესკომ სამზარეულოში შეაბიჯა.

— _რა გამიმზადე, ჩემო რომელეტავ?

— _რა დამიტოვე, რომ გამემზადებინა? მაგერ მოხარშული სპაგეტია და მარილი მოაყარე!

— _ფუჰ, ესაა ჩემი ტრაბახი და ოცნება?!_ ჩაილაპარაკა ფრანჩესკომ და მარილმოყრილი სპაგეტი უგემურად გაღეჭა.

დომენიკო ჩაქუჩას ზღაპარი

ფრანჩესკო ტრაბახასათვის რომ გეკითხათ,“ დომენიკო ჩაქუჩა ნახევრად მშიერ-მწყურვალი დადისო“. არც მასე იყო საქმე. ხომ არ დაგავიწყდათ , ჩემო კარგებო, რომ საჭორეთის გმირებთან გაქვთ საქმე? ჰოდა, მთლად ნუ დაუჯერებთ, მაგრამ დომენიკო ჩაქუჩას რომ ამბავი გადახდა, ის მართლაც რომ საჭორეთის საკადრისი იყო.

დომენიკო ჩაქუჩას არ იცნობთ? გაგაცნობთ.

დიდი ხანია დომენიკო საჭორეთში ცხოვრობდა . ცხოვრობდა და ხელოსნობდა. კარგად არ იცოდა, ვინ იყო, როდის და სად მოღვაწეობდა ალექსანდრე მაკედონელი, მაგრამ მისი გამონათქვამი სადღაც ყურში ჩარჩენოდა:“ არაფერი არ

არის ფუფუნებაზე უფრო მონური და შრომაზე უფრო მეფურიო.“ ჰოდა, შრომობდა და შრომობდა ჩვენი დომენიკო ჩაქუჩა. ჩაქუჩი ხშირად ეჭირა ხელში, ამიტომ საჭორეთლებმა „ჩაქუჩა“ შეარქვეს.

დრო გადიოდა. ჩაქუჩასაც ასაკი ემატებოდა. ხშირად დაუძლურებულ კუნთებს სპირტიანი სასმელით ამხნევებდა და მაინც უკაკუნებდა.

ერთხელ ზამთარში, როცა ქათქათა თოვლმა საჭორეთის ქუჩები აავსო, ყინვამაც დაურბინა, „ბირჟაზე“ გასვლა შეუძლებელი გახდა.

დომენიკო ჩაქუჩას და მარსელო ყველგანცხვირისჩამყოფს თავი ფრანჩესკო ტრაბახასთან მოეყარათ და სასმელთან ერთად ჭორებითაც იხურებდნენ თავს.

ნადიმი გვიანობამდე გაუგრძელდათ.

დაღამდა. სუფრასთან მხოლოდ ორი ისხდა: ფრანჩესკო და მარსელო. დომენიკო ჩაქუჩა კი იჯდა კი არა, იწვა. ფრანჩესკო ტრაბახობდა, მარსელო თავს აკანტურებდა და ნახევრად თვლემდა.

ბოლოს დადგა ჟამი მათი გაყრისა.

— _აბა, ახლა ჩვენს დროებით დაშლას გაუმარჯოსო!_წარმოთქვა ფრანჩესკომ და ფეხზე წამოდგა.

მარსელომაც შეიღვიძა.

— _ამას რაღა ვუყოთო? — თქვა და სუფრაზე ჩამოძინებულ დომენიკოს გადახედა.

— _ამას თუ გავიტანთ, თორემ ისე ვერ გავა კარებში — უპასუხა ფრანჩესკომ.

როგორც იქნა დომენიკო წამოაყენეს და კარებთან მიიტანეს.

კარის გაღების უმალ თოვლი და სიცივე ერთად ეცათ.

დომენიკოს ფეხი მთლად წაერთვა და ქუჩაში გასვლისთანავე ჩაიკეცა.

თოვდა ბარაქიანად.

— _რაღა ვქნათ, ამას აქ ხომ ვერ დავტოვებთ! — _შეფხიზლდა მარსელო ყველგან_

ცხვირისჩამყოფი — _არადა, არც მანქანაა და ვერც ვერავის გააგონებ, გვიანაა...

ფრანჩესკო აბა რისი ბრძენი იქნებოდა, რამე არ მოეფიქრებინა. სახლიდან

თოკი გამოიტანა, ერთი ერთ ფეხზე ჩააბა დომენიკოს, მეორე — მეორეზე. გადაი_
კიდეს თოკები მარსელომ და ფრანჩესკომ და ძლივძლივობით წაასრიალეს
დომენიკო თოვლზე. კიდევ კარგი მისი სახლისაკენ თავდაღმართი იყო.
როგორც იქნა მიასრიალეს სახლამდე, თუმცა თვითონაც კარგად იგორავეს
თოვლში.

აი, სახლთან მივიდნენ.

— წავალ და ზარს მივცემო — ჩაილაპარაკა ფრანჩესკომ.

— არ არის საჭირო, დიდი მადლობა, ბიჭებოო!_წამოიძახა გამოფხიზლებულმა
დომენიკომ, ფეხზე წამოხტა, თოკებს ხელი მოჰკიდა და კარისაკენ გასწია.

სინიორა კატერინას ზღაპარი

— შენ ჩაგექცა ნაღველი, დაგტყდა ყველა კბილი, დაგტყდა ყველა კბილი, და_
გიბნელდა, მაგ თვალები!

დილაუთენია საჭორეთის მცხოვრებლები სინიორა კატერინას წივილმა გააღ_
ვიძა. თავდაპირველად ეგონათ, რომელიმე საჭორეთელს მეტეორივით დაატყ_
დაო თავს ეს წყევლა, მაგრამ წყევლის მომდევნო რაუნდის შემდეგ ყველაფერი
ცხადი გახდა:

— შენ მოგწყდა ეგ კუდი, გაგცვივდა მალე ეგ ბეწვი! მიშველეთ, ხალხო, შემჭამეს
ამ თაგვებმა, შემიხრეს და შემიჭამეს მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში ნაც_
ოდვილარ_ნაგროვები.

წყევლა_კრულვა არ წყდებოდა. მალე მთელმა საჭორეთმა სინიორა კატერინას ფანჯრებთან მოიყარა თავი. ბიჭი იყო და ვინმე გაბედავდა შეკითხვას! იდგნენ და მდუმარედ შეჰყურებდნენ.

ბოლოს მარსელო ყველგანცხვირისჩამყოფმა დაარღვია მყუდროება და შეკითხვა

გაბედა:

— რამ აგაღელვათ ასე, სინიორა კატერინა?

სინიორა კატერინას აივანზე ჯერ მისი გაბურდული თმები, შემდეგ გრძელი

ცხვირი და ბოლოს კატერინაც გამოჩნდა.

— _თაგვებმა, სინიორ მარსელო, თაგვებმა შეხრეს ჩემი ნაშრომი. ვერაფერი მოვუხერხე, არც ჩემი ეშინიათ და არც — წამლის, პირდაპირ თავზე მახტებიან.

— _აგერ სინიორ ფრანჩესკოს ჰყავს სახელგანთქმული კატა და ის მოგეხმარებათ!_შეაპარა ნელ_ნელა მარსელომ.

— _აჰ, კატის სახელი არ გამაგონო, მაგ მუქთამჭამელს სახლში ტყუილად ვერ დავაყენებ.

აივანზე გადმოკიდებული სინიორა კატერინა კიდევ დიდხანს ქაქანებდა. საჭორეთლები დაიშალნენ. მარტო მარსელო ყველგანცხვირისჩამყოფი შემორჩა კატერინას.

— _სინიორა კატერინა, მე მაქვს სხვა ალტერნატივა — _გაბედა მარსელომ.

— _შეიძლება.

— _ხვალ დილით მოგართმევთ უნიკალურ ხაფანგს, რომელიც თქვენს თაგვებს

მუსრს გაავლებს.

— _გრაციე ტანტე(დიდი მადლობა) — უთხრა კატერინამ და თვალს მიეფარა.

ამის შემდეგ დაიწყო და დაიწყო...

ეს ჩვენი სინიორ მარსელო, მიართვა რა უნიკალური ხაფანგი, ყოველ დილით

ესტუმრებოდა სინიორა კატერინას, შეამოწმებდა ხაფანგის საბრძოლო მზადყოფნას და თან რამდენიმე ჭიქა საუკეთესო იტალიურ ღვინოს გადაჰკრავდა.

ოღონდ ეს ონავარი თაგვები მოეშორებინა და სინიორა კატერინა გულუხვად

უმასპინძლდებოდა მარსელოს, „პიცა“ უნდოდა, „რიზოტო“(ბრინჯისაგან მომზადებული კერძი),“ კასატა“(ტკბილი საჭმელი) თუ „რავიოლი“(მაკარონის პელმენი).

უკვე ერთი კვირა გავიდა, მეორეც მალე მიილეოდა. თაგვები კი არა და არ ეკარებოდნენ ხაფანგს.

შეჭიკჭიკებული მარსელო ბანცალ_ბანცალით მიუყვებოდა საჭორეთის ქუჩებს.

მოსწყინდა სინიორა კატერინას მარსელოსათვის გუნდრუკის კმევა, მოთმინების ფიალა აევსო და უთენია ელვისებურად შეუტია:

— _სინიორ მარსელო, არ შეგახრამუნებინებ ჩემს ქონებას. მომაშორეთ თქვენი ხაფანგი და აქედან მოუსვით!

— მაგას რად ბრძანებთ, სინიორა...ეგებ თაგვებს არ მოსწონთ ეგ მენიუ და შევუცვალოთ!

სინიორა კატერინას კივილმა საჭორეთი შეანძრია.

მარსელო არ ეშვებოდა:

— ეს სრული ჭეშმარიტებაა, სინიორა, ხომ გსმენიათ არისტოტელეს სიტყვები:

„პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება კიდევ უფრო დიდი მეგობარია“_

ფილოსოფოსობას ცდილობდა მარსელო, მოხერხებულად იყენებდა, ვგონებ, სინიორ პაოლოსაგან ყურმოკრულ სიტყვებს.

სინიორა კატერინა შეჩერდა, გაკვირვებისაგან თვალები შუბლზე მოექცა, მერე მიტრიალდა, ხაფანგს ხელი წამოავლო და მარსელოსაკენ ისროლა:

— აი. შე არისტოტელე!

სინიორ მარსელომ დროულად მოასწრო გაქცევა, თორემ მარცხს ვერ ასცდებოდა.

მიუყვებოდა მარსელო საჭორეთის ქუჩებს და თავის თავს უბრაზდებოდა:“შე მართლა ყველგანცხვირისჩამყოფო, რას ერეოდი ამ სხვის საქმეში, გკითხა ვინმემ რამე? ა? მოგინდა ხომ ფილოსოფია? ესეც შენი არისტოტელე და პლატონი...“

ქოლგების ზღაპარი

მზიანი დღე გათენდა საჭორეთში.

სინიორა ალისა ხალისიანად შეუდგა საქმის კეთებას. ლამაზმა დილამ ისიც კარგ განწყობაზე დააყენა. მას მხიარული სიმღერა კარს მიღმა სახელის გაგო_

ნებამ შეაწყვეტინა.

— ჰოვ, ალისა! — დაიძახა ზღურბლზედ მომდგარმა სინიორმა კატერინამ და სა_

ნამ „მობრძანდის“ ეტყოდნენ, შუა ოთახში მოადინა სკამზე ზღართანი.

გულშემოყრილმა სინიორა ალისამ ღიღინი შეწყვიტა და კატერინას წინ სკამზე

ჩამოჯდა.(არა, გაბედავდა და ყურადღებას არ მიაქცევდა! ნურას უკაცრად, პირ_

დაპირ თვალებში უნდა ეცქირათ მისთვის, თორემ მერე გენახათ წყევლა_კრულ_

ვა!)

სინიორა კატერინამ თაგვების ამბავი ე.წ. „საშინაო პოლიტიკა“ მიმოიხილა, თან

პათეტიკურად გაიძახოდა:

— გეგონათ, დამამარცხებდით? გამტეხდით წელში, მიწაზე მფორთხავს მნახავდ_

ით, მაგრამ ვერ მოგართვით! უმალ მე მოგსპობთ და გაგანადგურებთ! ერთხელ

და სამუდამოდ დაგანახებთ, არაა იოლი სინიორა კატერინას დამარცხება.

— დამშვიდდით, დამშვიდდით, სინიორა კატერინა! — აწყნარებდა სინიორა ალისა

— ყველამ იცის თქვენი თაგვების ამბავი, ისინი თქვენ ვერ დაგამარცხებენ.

ამაო იყო სინიორა ალისას მცდელობა, დაეწყნარებინა თაგვებისაგან თავმობეზ_

რებული კატერინა, რომელიც, როგორც გახსოვთ, ყველა ღონეს ხმარობდა თაგვ_

ების შესამუსრავად.

პირიქით, ის უფროდაუფრო უმატებდა ხმას.

ოთახში დამწვრის სუნი დატრიალდა.

— ვაი, „პიცა“ დამეწვა!_შეჰკივლა სინიორა ალისამ, ზე წამოიჭრა და ჰაერღუმელ_

იდან დანახშირებული „პიცა“ გამოიღო.

— ეგ რა მოგვსლია ალისა, მაგრამ ნუ გეშინია“ჩოსკუსიმო!“(ამ სიტყვის ეტიმოლოგია, კი თვით სინიორ პაოლომაც არ იცოდა.)“ჩოსკუსიმოს“ კატერინა ხშირად

ხმარობდა, თუმცა რას ნიშნავდა, არავინ იცოდა. შეკითხვის კი ყველას ეშინოდა.

დამწვარი „პიცა“ გარეთ გააბრძანეს.

ბოლოს სინიორა კატერინამ შეფუთული ნივთი გახსნა და გაწიწმატებულ ალი

სას წითელკოპლებიანი ქოლგა უჩვენა.

— სინიორა ალისა, ეს ქოლგა სპეციალურად შენთვის რომიდან ჩამოვიტანე და 10

ევროდ დაგითმობ! ჩემთვის მინდოდა, მაგრამ როგორც კარგი მეზობელი და მოკეთე, შენზე უკეთესი და ახლობელი რომელი მეგულება მთელს საჭორეთში. პირდაპირ გაჭირვების ტალკვესი ხარ, აჰა, აიღე! — და ქოლგა მიაჩეჩა.

ალისას რაღა უნდა ექნა?

დამტკბარი სინიორა კატერინას შეხედვამ მას გული მოულბო და ქოლგა სიხარულით გამოართვა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო სინიორა კატერინამ საჭორეთის ყველა ბინადარს

შეურბინა და იგივე ტექსტით, ოღონდ სახელების შეცვლით მეზობლებთან ქოლგები 10-10 ევროდ გაასაღა.

თურმე რა ხაფანგს უმზადებდა!

გავიდა ერთი კვირა.

კვირის თავზე საჭორეთი საპატიო სტუმარს ელოდებოდა დედაქალაქიდან. ყველა ემზადებოდა. საგანგებოდ დააწკრიალეს საჭორეთის კოხტა ქუჩები.

და აი, გათენდა ეს დღეც, მაგრამ დილიდან წამოიბურა, წვიმით დატენილი ღრუბლები უხვად დაადგა საჭორეთის ცას და ერთბაშად დაუშვა.

რაღა ექნათ საჭორეთლებს? გუნება წაუხდათ, მაგრამ დათქმულ დროს საჭო_ რეთის მთავარ მოედანზე შეკრება დაიწყეს.

აი, სად გამოჩნდა სინიორა კატერინას მზაკვრობა.

სტუმრის ჩამოსვლამდის მცირე დრო იყო დარჩენილი.

პირველი სინიორა ალისა მოაბიჯებდა წითელკოპლებიანი ქოლგით, გუბურებს ფრთხილად უქცევდა გვერდს. ოდნავ უკან სინიორა ენატანია მეტად დაკვირ_ ვებულად მოდიოდა. მართალია, ამ ბოლო დროს კიდურები მართლა არ ემორ_ ჩილებოდა, მაგრამ სინიორა ალისას დასანახავად წელში გამართული, თავმომწო_ ნედ მოაბიჯებდა, თან ვინმეს ნალაპარაკევი არ გამომეპაროსო, ყურები დაეცქვი_ ტა. სინიორა ალისა კატერინას გამოეჭირა და თაგვების ამბებით აბრუებდა. სა_ წყალ ალისას სურდა წინ წასულიყო, მაგრამ კატერინა არ უშვებდა."აუჰ, სანამ ჩვენ მივალთ სტუმარი ჩამოსვლასაც მოასწრებს და უკან დაბრუნებასაცო"_ფი_ ქრობდა საწყალი.

მათ უკან სინიორები ფრანჩესკო და მარსელო ყველგანცხვირისჩამყოფი მოაბი_ ჯებდნენ წითელკოპლებიანი ქოლგებით.

— ქოლგა_ქოლგა უძახე და რამხელა ძალა აქვს იცი შეეენ!_ არიგებდა „ბრძენი" მარსელოს. მარსელოც თავს უკანტურებდა და თეთრ „ბოტასებს" დაჰყურებდა, არ გამიფუჭდესო.

ექიმი ტულიო ძაღლთან ერთად მოაბიჯებდა. ცოტა შეზარხოშებული იყო, „არავინ შემამჩნიოსო"_ფიქრობდა. ფეხს აუჩქარა, ამასობაში ძაღლი ფეხებში წამოედო, ტულიომ თავი ვეღარ შეიმაგრა და გუბეში ჩავარდა. ძაღლი ადგილს

მოსწყდა და ფრანჩესკოს კატას გამოეკიდა.

სულ მთლად ტალახში ამოსვრილ ექიმ ტულიოს სინიორ ფრანჩესკო დაადგა

თავზე და დამოძღვრა:

— ჩვენთან საკუთარ ძაღლსაც ვერ ენდობა კაცი! ეგაა ადამიანობა? ახლა „ცი_

განი“ თუა „მოხერხებულს“ ეძახიან მაგას. სხვის ეზოში გადახედვა მეზარება მე.

ქურდობა? მაგია სიგლახე, მეტი არაფერი. აფერისტობას ადრე თუ გვიან გაგიგ_

ებენ მაინც. სულ მოტყუება,ხრიკი, ხრიკი, ხრიკი...

— სინიორ, ჯერ ამაყენეთ და იქნებ მერე გადმოგეფრქვიათ ამდენი სიბრძნე_წამო_

იყვირა სინიორ ტულიომ.

ამასობაში ფრანჩესკოს მარსელოც წამოეხმარა სინიორ ტულიოს აყენებაში და
დასძინა: ეს სტუმართან გამოსაჩენად მაინც აღარ ვარგა თუ არ გავრეცხოთ

საჭორეთის მთავარ მოედანზე ხალხს გვარიანად მოეყარა თავი და ჰოი, საოცრე_

ბავ! ყველას სინიორა კატერინას“ ნობათი“_რომიდან 10 ევროდ ჩამოტანილი,

„ერთადერთი“, წითელკოპლებიანი ქოლგები ეჭირა ხელში.

ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით იდგნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ.
კითხვას ვერ ბედავდნენ.

სინიორა ენატანიამ მოთმნება დაკარგა:

— კი მაგრამ, სად გქონდათ ყველას ერთნაირი ქოლგები?

პასუხად ყველამ კატერინასაკენ მიიხედა:

_ჩემთან რა გინდათ, რომიდან ჩამოტანილი ქოლგები დამცანცლეთ და ახლა რას
მიყურებთ?

ყველა მხრიდან წამოესივნენ კატერინას. შეიქმნა ერთი გაწევ_გამოწევა. ენატანია

შამფურივით ატრიალებდა ენას, არც კატერინა რჩებოდა ვალში.

ამ წიოკობაში სტუმრის მანქანაც გამოჩნდა მოედანზე. მომავალმა სენატორმა

ერთი გადმოიხედა ჩამოწეული მინიდან, ამდენ წითელკოპლებიან ქოლგიანებს

რომ შეხედა, იფიქრა, სხვაგან მოვხვდიო და მძღოლს ანიშნა სწრაფად გასცლოდა ამ ადგილს.

ჩხუბში გართულ საჭორეთლებს სტუმრის არც მოსვლა გაუგიათ და არც წასვლა. საჭორეთში კი წვიმდა და წვიმდა...

წვიმის მხიარული და ცელქი წვეთები უხვად ასველებდა მოჩხუბართა სახეებს...

მარსელო ყველგანცხვირისჩამყოფის ზღაპარი

სინიორ მარსელო, როგორც იტყვიან, ,,საჭორეთის ყური“ იყო. გაფაციცებით დაეძებდა საკბილოს და როცა ცინცხალ ჭორს გაიგებდა იმ ღამით სიხარულით არ ეძინა. ის კი არა, საყვარელ სერიალებს როცა უყურებდა არც სხვას ასვენებდა და არც ენას.

-ე, შეხედე, შეხედე! ახლა ის კაცი იმას უღალატებს! ა, ნახავთ თუ არა! მართალია, ფრანჩესკო ტრაბახა იძახის ,,ბრძენი ვარო“, მაგრამ მაგაზე ნაკლები ამბის გამომცნობი ვარ მე? მაგ ძუნწი, მაგი! ათი ქათამი ჰყავდა და ისინიც ხნით მოუკვდა. შეენანა დაკვლა!

მე ისეთი მისანი ვარ საჭორეთში ბუზს რომ მარცხენა ფრთა მოსტყდება, ის ამბავი ჩემთვის არის ცნობილი.

ერთხელაც როცა სერიალის ას მესამე თუ ას მეოთხე სერია დამთავრდა, მარსელომ ტელევიზორი გამორთო და თქვა: ,,სულ სახლში ყოფნა არ ვარგა. დღეს თუ რაიმე ახალი ჭორი არ გავიგე, ისე რა დამაძინებს!“

სინიორ მარსელო სინიორა ენატანიას ესტუმრა. სინიორა ენატანია საქანელა სკამზე დამჯდარიყო და საყვარელ სერიალს გაფაციცებით უყურებდა.

_დაბრძანდით, სინიორ მარსელო, რა არის ახალი?

_ახალი ამბების გაგებას თქვენგან ველი,სინიორა, ამიტომაც გესტუმრეთ.

ჭორების გაზიარების სურვილი ისე მომძლავრდა სინიორა ენატანიას არსებაში, რომ სერიალიც კი დათმო და ენად გაიკრიფა:

_შეხედე, შეხედე! ეს დომენიკო ჩაქუჩა, ჩხირივით რომ გადაქცეულა,_თან მარჯვენა ხელის ნეკა თითიუჩვენა,_ა, ასე რომ არის გადაქცეული, პატრონი არ ჰყავს? გვითხრას მაინც და ვუშველით რაღაცას, ვუმკურნალებთ მაინც. მაგ საცოდავი! ან კიდევ მწერალი პაოლო_წერს, წერს, წერს და მერე ნაწერები ეკარგება.

_საინტერესოა, რას წერს ასეთს, ა? ან რას ხატავს?_ჰკითხა მარსელომ.

_ჰმ,_ჩაიფრუტუნა ენატანიამ,_რა ვიცი, ვინღა კითხულობს დღეს წიგნებს!

_კატერინა თაგვებს ებრძვის და ვერ მორევია ჯერაც_წამოიწყო მარსელომ.

_ო, ეგ ცბიერი, მთელ საჭორეთს რომ ერთნაირი ქოლგები შემოგვაპარა და სტუმარი დააფრთხო,ხომ გახსოვს, სინიორ მარსელო?

_რა დამავიწყებს, სინიორა!ისე გაიქცა ის კაცი, მე მგონი, ახლაც გზაშია.

უცებ ენატანიამ საიდუმლო გამომეტყველება მიიღო და ისედაც ყურადქცეულ მარსელოს ჩასჩურჩულა:

_გაიგე, სინიორ ფრანჩესკოს ეზო შემოუღობავს და შიგ არავის ახედებს. რაღაცას აკეთებს. ერთი ხანია გარეთა აღარ გამოსულა და არც ქუჩა გაუხმაურებია. რა ხდება, ნეტავ?

_საჭორეთისათვის გამოუცნობი რა უნდა იყოს! მაგას მე ავხდი ფარდას. მე მარსელოყველგან ცხვირის ჩამყოფი არ ვიყო, თუ არ გავიგო, რას აკეთებს ფრანჩესკო'' ტრაბახა.“

სინიორ ფრანჩესკოს ეზო გენუიდან ჩამოტანილი მასალით იყო შემოღობილი. მართალია, ღობე მაღალი იყო, მაგრამ სინიორ მარსელომ მაინც მოახერხა მასზე აძრომა. ეზოში უცნაური რამ დაინახა: მას ცოლი, ძაღლი და კატა მოლზე დაესხა და თავად რომაელი დიდებულის ტანსაცმელში გამოწყობილი იქვე მიდი-მოდიოდა.

_,,მე მირჩევნია, ვიყო პირველი საჭორეთში, ვიდრე მეორე_რომში!“_ხმამაღლა იმეორებდა იულიუს კეისრის სიტყვებს სახეშეცვლილი ფორმით. შემდეგ იქვე მყოფ „საზოგადოებას“ თავმომწონედ მოავლო მზერა და რომში, თეატრის შესასვლელთან ღვთაებრივი ავგუსტუსის შესასხვედრად სენატორის დავალებით გამოსული ვალერიუს მესალას ტექსტი მოირგო: „დაე, ბედნირება და

წარმატება თან გდევდეს შენც და შენს სახლსაც!“ მალე ასე მომმართავს მთელი საჭორეთი, აბა!

მომილოცავს საჭორეთის მამობას — ჩაიხითხითა და მზერა არემარეს მოავლო.

— ნეტავი შენ, განდიდების მანია არ გჭირდეს, შე უბედურო! — ქოქოლას აყრიდა სინიორა რომელეტა.

— ცდებით, სინიორა! თქვენ ახლა საჭორეთის მერს ელაპარაკებით! — შესძახა ფრანჩესკომ, მაგრამ სინიორა რომელეტა უკვე სახლში შესულიყო და ფრანჩესკოს მხოლოდ კატა და ძაღლი შერჩა ხელთ.

სინიორ მარსელო საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. აიწია და აიწია ფეხის წვერებზე, მაგარამ ღობეზე აცოცებულმა თავი ვეღარ შეიკავა და სინიორ ფრანჩესკოს ეზოში ცხვირით გადაეშვა.

დიდხანს იშუშებდა მარსელო ყველგანცხვირისჩამყოფი ცხვირს.

ბავშვების ზღაპარი

ჩემს ზღაპრებს შეჩვეულო მკითხველო, ალბათ დაინტერესდებით და იკითხ_ ავთ, საჭორეთში ბავშვები რატომ არ ჩანანო, არ არიანო, მარტო დიდები არი_ ანო?

არა, ჩემო ძვირფასებო, როგორ არ არიან! არიან. ისინი ყვავილებივით იყვნენ მოდებულნი საჭორეთს და ჩიტებივით ჟღურტულებდნენ.

აქამდე რატომ არ ვახსენე? გგონიათ, დამავიწყდა? არა, ბატონებო, შემოვინახე.

ისინიც ჩვეულებრივი ბავშვები იყვნენ, ცელქობდნენ, თამაშობდნენ, ხტუნაო_ ბდნენ, ჩხუბობდნენ, მერე რიგდებოდნენ, ამტვრევდნენ, აკეთებდნენ, აწყობდნენ. ერთი სიტყვით, ნამდვილი ბავშვები იყვნენ.

სინიორ ფრანჩესკო ხომ კარგად გახსოვთ? ჰოდა, იმ სინიორ ფრანჩესკოს მურა_ ბებისა და ხილფაფების დიდი მარაგი ჰქონდა, მაგრამ არავის არგებდა ერთ ლუკმასაც კი. მის საწყობში უხვად ელაგა თავმოკრული ქილები.

შევიდოდა ფრანჩესკო, გადათვლიდა ქილებს, გასაღებს ჯიბეში ჩაიჩხრიალებდა

და იტყოდა, „ყველაფერი ბევრი მაქვს“ და თვითკმაყოფილი იერით დატოვებდა ტერიტორიას. ჭამა_სმა დიდად უყვარდა, მაგრამ ტრაბახზე მეტად არა, კიდევ... მუსიკები უყვარდა. ხშირად წაიტრაბახებდა:“ მუსიკა მიყვარს, იტალიური მუ_ სიკა!“ „ტოტო კუტუნიო, რიკარდო ფოლი, ალ ბანო... კარგია, მიყვარს, მიყვარს.“ მათი სიმღერის გაგონებაზე ტრაბახსაც კი მიატოვებდა. მისი ეს ჩვეულება ყვე_ ლამ იცოდა.

ჰოდა, ამ ცელქმა ბავშვებმა ერთხელ ასეთი რამ ჩაიდინეს. ისინი ხომ ყვე_ ლაფერში დიდებს ბაძავდნენ: ჭორაობდნენ, ჰქონდათ თავიანთი პატარა „ბირჟა“.

ერთხელ ამ პატარა „ ბირჟაზე“ შეკრებილებმა, თამაშით რომ გული იჯერეს, ტკბილეული მოუნდათ და გაახსენდათ სინიორ ფრანჩესკოს ე.წ. „საწყობი“.

პატარა ანტონიომ ჯანის შეახსენა:

— _ჯანი, არ გინდა ტკბილეულით ყელის ჩაკოკლოზინება?

— კი, მაგრამ აბა სად გვაქვს?

საუბარში სხვებიც ჩაერთვნენ.

— _სინიორ ფრანჩესკოს ტკბილეულის დიდი მარაგი აქვს საწყობში. მოდით, ცო ტა მოვაკლოთ. მაინც ისეთი ძუნწია, თანაც მარაგიც იმდენია, არ შეეტყობა

— _ინიციატივა გამოიჩინა ჯუზეპემ.

წინადადება იმდენად მაცდუნებელი იყო, რომ მაშინვე ერთხმად მიიღეს.

— _მაგრამ როგორ? — _იკითხა ნინომ.

დიდხანს წიოკობდნენ: ვინ რა თქვა, ვინ — რა.

ყველაზე მახვილგონიერმა რიკარდომ წამოიძახა: მე ვიცი მაგის ხერხი: სინიორ ფრანჩესკოს მუსიკა თავს ურჩევნია. მოდით, ეს ვცადოთ...

რიკარდო, ჯანი და ჯუზეპე შესაბამისად სინიორ ფრანჩესკოს მიადგნენ.

ფრანჩესკო ამ დროს აივანზე იჯდა და მზეს ეფიცხებოდა, თან იაფფასიან სი_

გარეტს ეწეოდა. ჩვენს გმირს მეუღლე, სინიორა რომელეტა საყიდლებზე გაეგუ_

ლებინა და გადაბურულ ეზოს აივნიდან გადასცქეროდა.

აი, აქ, სწორედ ამ ადგილას(აივანზე) ესხმებოდა ფრთა მის ფანტაზიას, რო_

ცა განმარტოებით იყო. ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მარტო დარჩენილი ფრანჩესკო ყველაზე ნაკლებად იყო მარტო! ფანტაზიას აჰყვებოდა, თვალს გაადევნებდა სი_

გარეტის კვამლს. ოცნებებში ოქროს გვირგვინს ადგამდნენ თავზე, ძვირფასი თვლებით მოჭედილს. ხანაც სკიპტრა ეპყრა ხელში და სახელმწიფოს განაგებდა.

ახლაც ოცნებებში ჩაძირულიყო ჩვენი ფრანჩესკო. ის_ის იყო წაბლისფერ რა_

შზე უნდა ამხედრებულყო, რომ ჭიშკართან ბავშვების ხმა გაისმა.

„ძლევამოსილი მმართველიდან“ ის ისევ ფრანჩესკო „ ტრაბახად“ გადაიქცა და აივნიდან მძიმე ნაბიჯებით ჩავიდა.

მასპინძელმა ჭიშკარი გააღო.

— გამარჯობათ, ბავშვებო! რას დგახართ, შემოდით, შემოდით!

ბავშვები აივანზე მოკალათდნენ.

— _აბა, ბავშვებო, რა არის თქვენი სტუმრობის მიზეზი?

— იცით, იტალიური სიმღერები გვინდა გვინდა მოგასმენინოთ, კარგი ჩანაწე_

რებია — _მოახსენა სინიორ ფრანჩესკოს რიკარდომ.

ამ სიტყვების გამგონე ფრანჩესკოს სახე გაებადრა:“მადლობა დიდი, ბავშვებო!“

თანაც გულში გაივლო:“ აი, აღზრდა ასე უნდა ნამდვილად!“ ემოციებს ვეღარ ფარავდა ფრანჩესკო.

რიკარდომ ახალი „აიფონი“ ჯიბიდან დააძრო, ყურსასმენები მიამაგრა და სინი_

ორ ფრანჩესკოს ფაქიზად გაუკეთა.

სინიორ ფრანჩესკომ სიამოვნებისაგან თვალები მილულა. სახეზე ნეტარების ღი_

მილი დასთამაშებდა.

ო, რა მაღლა და მაღლა მიემართებოდა ფრანჩესკოს ოცნებები!

იტალიური მუსიკის ჯადოსნურმა ჰანგებმა საოცარი ეფექტი მოახდინა.

სინიორ ფრანჩესკომ თვალები მილულა, მილულა და მიეძინა კიდეც. სტუმრე_

ბი არც კი გახსენებია. ეს უთუოდ მომაჯადოებელი მუსიკისა და მზის ბრალი იყო.

— _რა ღრმად ჩაეძინა! — ჩაიჩურჩულა ჯუზეპემ.

— _აბა! — საუბარი წამოიწყო ჯანიმ.

ფრანჩესკო შეინძრა.

— _სსსსსსსსს, რა იყოთ ახლა? — _გაუწყრა მათ რიკარდო.

საოცარი იყო პირდაპირ! ისე ჩაძინებული იყო ეს ამხელა კოლორიტი კაცი, თითქოს დედა ეუბნება ნანასო.

რიკარდო ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა სინიორ ფრანჩესკოს, ყურსასმენები გამოაცალა და ჯიბეში ჩაიწყო.

— _ახლა საჭიროა გასაღების ამოცლა და შემდეგ კი სწრაფი მოქმედება, რომ არ გამოიღვიძოს დროზე ადრე, თორემ თუ გამოიღვიძა...წაიჩურჩულა ჯუზე_

პემ.

მათაც აღარ დააყოვნეს. რიკარდო პირველი მიიჭრა, ჩუმად ამოაცალა გასაღე_

ბი შარვლის უკანა ჯიბიდან.

მზე ჩადიოდა. აგრილდა. სამაგიეროდ ფრანჩესკოს გვერდიც არ შეუცვლია, ემ_

ინა არხეინად...

მის წინ ათასი ჯარისკაცი იდგა. აგერ ესპანეთის მეფე საზეიმო ვითარებაში

ართმევდა ხელს...ის კი საჭორეთს ჩუქნიდა იტალიის მეზობელ ქვეყნებს...

„გვირგვინოსან“ ფრანჩესკოს ვერც კი წარმოედგინა, როგორი საფრთხე ელოდა

მის მურაბებსა და ხილფაფებს.

ბავშვები „საწყობს“ მიუახლოვდნენ, საკეტს გასაღები მოარგეს და შევიდნენ.

„საწყობში“ მართლაც ბევრი რამ იყო: მურაბები,ჯემები, ხილფაფები, წვენები.

ქილები თაროებზე გაემწკრივებინათ, რა თქმა უნდა, თავიც საიმედოდ დაეხუ_

რათ მათთვის. ბავშვებმა ორ_ორ ქილას ხელი წაავლეს და ქარზე უსწრაფესად დატოვეს „საწყობი“.

რიკარდო მეგობრებს მოუტრიალდა:

— _პირობა დავდოთ, რომ არავინ არსად არაფერს ვიტყვით, თორემ თუ სინიორ ფრანჩესკოს ყურამდე მივიდა, მთელი საჭორეთი გაიგებს ამბავს, მერე რაღა ამო_ ვა სინიორა ენატანიას ყბიდან!

მათაც თავები დაუქნიეს და ყველამ ერთად პატარა „ბირჟისაკენ“ გასწია. იქ სხვები ელოდებოდნენ.

ამასობაში სინიორა რომელეტაც დაბრუნდა შინ. ჩვენმა კოლორიტმაც გაიღვიძა.

— “გადაიწია მზეე? აბა, მივხედავ პირუტყვს“ — ჩაილაპარაკა. წამოდგა, მაგრამ გა დადგმული ნაბიჯი რომელეტას წივილმა ისევ უკან გამოადგმევინა.

— ფრანჩესკო, ფრანჩესკო! გასაღებს აქ რა უნდა?

სინიორ ფრანჩესკომ ფეხს აუჩქარა. მივიდა და რას ხედავს? გასაღები აქამდე ჯიბეში რომ ეგულებოდა, „საწყობის“ კარებში გაეჩარათ, კარი ღია იყო ...

— _შეხედე შეენ? როგორ მომპარეს იმ ღლაპებმა „პროდუქტი“, — წამოიძახა — სა_ ჭორეთის ბავშვების ნაქნარია ყველაფერი. ჯერ მუსიკას მასმენინებდნენ, დამეძი_ ნა და გასაღები ამომაცალეს! მაგრამ ნუ გავიწყდებათ, მე ბრძენი ვარ, ბრძენი! — დააყოლა ნათქვამს.

— აი, აი, ბრძენი კი არა შტერი ხარ! — შეჰკივლა რომელეტამ და სახლში შევიდა. სინიორ ფრანჩესკოს დაბნეულობისაგან შინ შესვლა ვერც კი მოეფიქრებინა. მი_ მოდიოდა „საწყობის“ ახლოს. რა ექნა აღარ იცოდა. „ჰმ, ჰმ...“ განერვიულებული წამოიძახებდა ხანდახან...

შებინდებისას პატარა „ბირჟაზე“ საჭორეთის ბავშვები ერთად შეკრებილიყვნენ და სინიორ ფრანჩესკოსაგან „ გამოტანილ „ ნუგბარს გემრიელად შეექცეოდნენ . თან შაქრიანობის დონეს უწუნებდნენ:“ როგორი წუწურაქიც არის, შაქარიც იმ

დონის მიუციაო“.

სინიორ ფრანჩესკო მოაჯირს დაყრდნობოდა, იაფფასიან სიგარეტს აბოლებდა და ყურში მხოლოდ ეს ორი სიტყვა ჩაესმოდა — „ბრძენი_შტერი“, „ბრძენი_შტე_

რი“...

განდიდების მანიით შეპყრობილი საჭორეთი

საჭორეთში რაღაც საეჭვო ფაცი-ფუცი ატყდა. არ გაგიკვირდეს, მკითხვე_

ლო. მისი მცხოვრებნი განდიდების მანიამ შეიპყრო. შეიპყრო კი არა მათი მთე

ლი არსება მოიცვა, ძვალსა და რბილში გაატანა. ყველას პირველობა მოუნდა

და დღისით თუ ღამით პირველის გვირგვინი ელანდებოდათ. ეს არა მარტო

მათი საუბრის ტონს, არამედ სიარულის მანერასაც კი დაეტყო. დაიბზიკებოდ_

ნენ ქუჩებში ცხვირაწეულნი. წყვილად რომ ჩაივლიდნენ, მხოლოდ ერთი ამბ_

ობდა სალამს, მეორეს კი თქმა ეძნელებოდა. ერთ ხარჯში გამოდიოდნენ.

ახლაც , საჭორეთის „ბირჟაზე“ შეკრებილნი, ყელყელაობდნენ.

დისკუსია, როგორც ბრძენმა, ფრანჩესკო ტრაბახამ დაიწყო:

— _საჭორეთს კარგი გამძღოლი და პატრონი სჭირდება. აი, მაგალითად მე. სი_

ბრძნე მაკლია თუ ჭკუა_გონება? საჭმელი მაკლია თუ ჭკუა_გონება? საჭმელი

ბევრი მაქვს და სასმელი. ხალხზე კი ჩემდენს ვინ ფიქრობს? ეგ კი არა და

ხშირად ღამე ფიქრები გამიტაცებს, მაშფოთებს საჭორეთის ბედ_იღბალი, დღე_

მუდამ ხალხის უკეთეს ცხოვრებაზე ვზრუნავ, სიტყვითა და საქმით იმას ვცდ_

ილობ, ხალხს რამე ვარგო. ნაკითხობით ვინ დამიდგება გვერდით? გადაღეჭი_

ლი მაქვს მთლად ტარკვინიუსი და ბოკაჩიო. ათი თითივით ვიცი. შრომა და გარჯა მე არ...

— _შე ტრაბახა, შენ! — შეაწყვეტინა მარსელომ — შენზე ნაკლებად დამშვენდებოდა მერის მანტია? შენზე ნაკლებად ვიცი ეკონომიკა და პოლიტიკა? ყველა საკით_ ხში მაქვს ცხვირი ჩაყოფილი.

— _ეგ მე მკითხე — დისკუსიაში ჩაება სინიორა ენატანია.

მოკლედ, დაიძაბა საუბარი.

ერთმანეთს სიტყვის დასრულებას არ აცლიდნენ. მერე მიჩუმდნენ მცირე ხნით.

— ახლა საჭორეთში ბევრი ფიქრობს მერობაზე, — წამოიწყო ბრძენმა, — მაგრამ მთა_ ვარი ეგ კი არ არის, მთავარია, შენი დონე როგორ ჟღერს იქ, ხალხში! ზოგს შე_ იძლება ჰგონია, რომ მე საჭორეთის მერად არ ვივარგებ. მე მათ გასაგონად ვამბ_ ობ და არა მარტო მათთვის. მათ არ იციან ის, რამხელა დონეს მოვიტან ხალხ_ ში! ვაკეთოთ, ვაშენოთ საჭორეთი! მიწის გაყიდვა არ შეიძლება, ცბიერი არ უნდა იყოს მერი და საერთოდ მეთაური. ზარმაცია, ზარმაცია ადამიანი. გაზარმაცდა ხალხი. არავის მუშაობა აღარ უნდა — აი, აქ კი აამაღლა ხმა სინიორ ფრანჩესკომ,

— სწორი ცხოვრებით რომ არ ცხოვრობს ადამიანი, ცუდად ხდება. ეს ქურდობა არ არის სწორი! შუღლი, შუღლი, შუღლი! შუღლმა დაღუპა ქვეყანა!

თითქმის მთელი საჭორეთი შეკრებილიყო „ბირჟაზე“, მათ შორის — ბავშვებ_ იც. მათ, ისევე როგორც დიდებს, აინტერესებდათ რას იტყოდა ახალს და კარგს ფრანჩესკო „ბრძენი“.

— სინიორა ალისა სად არის? — იკითხა ფრანჩესკოს გვერდით მდგარმა სინიორა რომელეტამ.

— სად არის და მიიმალა, არ გვიკადრა — წამოიძახა ენატანიამ.

— ჰო, გზაზე დავინახე, მე რომ მოვდიოდი, გამოსული იყო. მე რომ დამინახა,

შეეშინდა, ალბათ_დაამატა მან.

ამ დროს სად იყო და სად არა გამოჩნდა ალისაც.

სინიორა ენატანიამ ალისა რომ დაინახა, მაშინვე გაჩუმდა.

— _სინიორა,_მიუბრუნდა ფრანჩესკო ახლა ენატანიას,_რომ ტიკტიკებ და ტიკტი_ კებ, მე არ უნდა მკითხო? — ღიად გამოთქვა ბრძენმა უკმაყოფილება, — მერობა ჩემ_ თვის კიდევ ცოტაა, აგერ ორ თვეს გამიშვი პრეზიდენტად და მაგათ(ყველა პარ_ ტიას) მოვარჯულებ მე! ასევე მე ავიღებ ყველაფერს მაღალ დონეზე!

_მიწათმოქმედებაზე რას გვეტყვი?_წამოიკნავლა სინიორ ბიანკიმ.

ფრანჩესკო უკვე ისე შევიდა აზარტში, რომ საუბარს აგრძელებდა და აგრძელე_ ბდა! ახლა მას არავითარი ძალა ვერ შეაჩერებდა.

— მიწის გაყიდვა არ შეიძლება! ახლა, აგერ რომ წავალ და ხელშეკრულებას და_ ვდებ ესპანეთთან, მერე ნახეთ თქვენ! — უქადაგებდა ხალხს ფრანჩესკო.

ამის თქმა იყო და სინიორა ენატანიამ მარსელოს, რომელიც იქვე იდგა ჩუმად (ისე რომ სხვებს არ გაეგონათ) გადაულაპარაკა:

— ამ ფრანჩესკოს რა დაემართა , ნეტავ? ხომ არაფერი უჭირს?

— რაზე ატყობთ, სინიორა? — დაინტერესდა მარსელო ყველგანცხვირისჩამყოფი.

— _რა დიდი შეტყობა უნდა, ა, ნახე „ესპანეთიო“, „ხელშეკრულებაო“, „მერობაო“, „პრეზიდენტად გამიშვითო“, „ყველას მოვარჯულებო“ — ჩამოთვალა სინიორამ.

— ისე ექიმ ტულიოსთან ხომ არ...გააწყვეტინა და შემდეგ აღარ დაასრულა მარს_ ელომ.

— საცოდავი! — ჩაურთო ენატანიამ.

მაგრამ ნუ შეშინდები, მკითხველო! არხეინად იყავი და თვალ_ყური სინიორ ფრანჩესკოს მიაპყარ, მაგარამ ეს რა ხდება?

— შენზე ნაკლები მერი არც მე ვიქნები, ფრანჩესკო!_წამოიძახა სინიორა ენატანიამ.

— მოიცათ, მოიცათ, სინიორებო! — დაიძახა ფრანჩესკომ.

სინიორ ფრანჩესკოს ენატანიამ ხმის ამოღება აღარ აცალა, მთელი თავისი მძიმე არტილერია ჩართო და ტყვიამფრქვევივით აკაკანდა, მაგრამ რა აკაკანდა.

— _უყურეთ ახლა ამ ტრაბახას, ბრძნობას რომ ჩემულობს, როგორ შეძრომია სხეულში განდიდების მანია! შენზე ნაკლებად ვუსმენ საინფორმაციოებს, არც ვტოვებ არც დილის, არც შუადღის და არც საღამოს მთავარ გამოშვებებს ჩემს საყვარელ არხზე, ზოგიერთივით კი არ ვღალატობ, ყველა არხებს რომ მოივლიან. შენზე ნაკლებად დამშვენდებოდა მერის მანტია? ბრტყელ_ბრტყელი საუბარი შენზე კარგად გამომდის, ჭორები ჩემზე უკეთ ვინ იცის, არ გამომეპარება საჭორეთის ყოველი მისხალი და მეტი რა უნდა მერობას?

კამათში სინიორ მარსელოც ჩაება:

— მე? მე არ ვივარგებ თუ?

— აუ, შე ყველგანცხვირისჩამყოფო, შენზე ნაკლები რით ვარ ნეტავი?_ხმა აუკანკალდა სინიორ დომენიკოს.

— _დაგხოცავთ ყველას ახლავე! უყურეთ, მომინდომეს თანამდებობები, თუ ვინმეს ეკუთვნის თანამდებობა, პირველ რიგში, მე — აწივლდა სინიორა კატერინა.

კამათი, ხმაური თანდათან ადუღდა.

ექიმი ტულიო ძაღლთან ერთად მოსულიყო და ძაღლი რომ ერთ მხარეს გაიქაჩებოდა ყეფით, ტულიო მეორე მხარეს გაიქცეოდა მოჩხუბართა დასაშოშმინებლად.

ვინ ვის ლანძღავდა, ვინ ვის აგინებდა, გაგება არ იყო: ფრანჩესკო_ენატანიას, ენატანია_კატერინას, კატერინა_მარსელოს, მარსელო_დომენიკოს, დომენიკო _ჯილბერტოს, ჯილბერტო — ალისას, ალისა_ ჯულიანოს და ვინ იცის! ამათ ყვე_

ლას კატერინა აქოქოლებდა და წყევლიდა.

ამ წიოკობაში რამდენჯერმე იელვა, იქუხა და თავსხმა წვიმა წამოვიდა.

გალუმპულმა მოჩხუბრებმა თავიანთი პოზიციები დათმეს, არა უფრო სწორად ბუნებამ დაათმობინათ და სახლებისაკენ სირბილით გაიქცნენ.

საჭორეთის „ბირჟაზე“ მხოლოდ სინიორ ტულიოს ძაღლი დარჩა რომელიც სადღაც მიმალულ, დამფრთხალ პატრონს ეძებდა და ვერ ენახა.

წვიმდა გადაუღებლად.

ცივმა წვიმამ გააცივა მათი გახურებული თავები. კამათის გაგრძელება კი არა, სახლებში მივარდნილნი სიმშრალეს და სითბოს ეძებდნენ.

ყურებჩამოყრილი, სიცივისაგან აძაგძაგებული, გალუმპული ძაღლი შინისაკენ გარბოდა.

მარკეტიდან ქოლგიანი სინიორ პაოლო გამოვიდა.

ძაღლი მის წინ შეჩერდა და საბრალო თვალებით მიაჩერდა.

პაოლომ პლასტიკური ჩანთიდან პური ამოიღო, ნატეხი ძაღლს მისცა და უთხრა:

— ჭამე, შე საბრალო, დაიღალე განა საჭორეთლების ჩხუბით? წამოდი, ერთად გა_ ვისეირნოთ, მგონი წვიმამ იკლო, რა სჯობს ახლა სეირნობას!

საჭორეთის მთავარ ქუჩას მიუყვებოდა მეზღაპრე პაოლო და მას უკან მისდე_ ვდა სინიორ ტულიოს გრძელყურება ძაღლი...

არა, არ მიყვარს ზამთარი

ეს შემოდგომა წავიდა
თბილი და გრილი ქარებით,
მალე გვეწვევა ზამთარი
თავისი მინანქარებით.
ზამთარი, თეთრი ზამთარი_
თეთრი სიკვდილი ბუნების,
ძვალსა და რბილში გამჯდარი
სიცივით, დაძაბუნებით.
მზე ცაზე დაკიდებული
სითბოგაცლილი სხივებით,
არა, ზამთარი არ მიყვარს
წარსულის გამოცდილებით.
ქარი ქარიშხლად იქცევა,
მთას და ბარს გააქვს გუგუნი,
დილა ყინვისაგან ილევა,
კანკალებს ტანმოკუნტული.
არა, ზამთარი არ მიყვარს,
ცივი და თმააბურძგნული.

2014 წელი

დაზამთრდა

დაზამთრდა, დღეები გაცივდა, გაყინდა.
არ ისმის ჰაერში ფრინველთა ჭახჭახი,
ქარიშხლისაგან ტოტები დაცვივდა,
ალაპარაკდა ხერხი და ნაჯახი.
ყინვისგან ძაღლები ყეფენ და ყმუიან,
სახლში რომ შეუშვა, კარებთან გხვდებიან.
საბმელში ფურები ბღავიან, ზმუიან,
შიმშილი აწუხებთ წყურვილით კვდებიან.
თოვლი თანდათან იმაღლებს მოედანს_
ზამთრის ზეწარი იისფრად ქათქათებს,
ბაბუა კედელთან აწვალებს კალენდარს,
ღუმელთან მიმჯდარი ბებია ამთქნარებს.
თოვლმა დაფარა გზები და ჭიშკრები,
ქარშოტი უმატებს და ღამეც მიგორავს...
ღამეში მოვლიან ყვითელი ჭინკები
და დაატრიალებენ სიზმრების გორგოლას.

2015 წელი

ეფრემა და კესარია

ზამთარია, გარეთ ცივა,
ხეებს ქარი დარევია.
ფანტელების თეთრი წვიმა
ვარდის ფურცლებს არევია.
მზეს სხივები დაუკარგავს,
ღრუბელს ჯარი ეფარება,
წვიმას მინა დაუქარგავს,
ფისო ჩიტებს ეპარება.
თბილ ბუხართან მჭადებს აცხობს
თავწაკრული კესარია,
დერეფანში ბავშვი ანცობს,
გალახავენ ეს არია.
ეფრემა კი ღვინოს სინჯავს,
ციცქას უფრო ეტანება.
სმაში ჩაკლავს ახლა მის ჯავრს,
ზამთარი რომ ეზარება.
ჩუ, ჭიშკართან ბომბორა ყეფს,
უეჭველად სტუმარია,
„მობრძანდიო“ დაუძახებს,
უხარიათ, უხარიათ...

2016 წელი


23/12/2015

ახალი დარიგება (იუმორესკა)

აცხუნებს მზე...

აცხუნებს მზე...

აცხუნებს მზე,

ძველი სახლის მსხვრეულ სარკმელს,

ჯინო დგას და ბუზებს ითვლის,

(არ აქვს საქმე!)

ქარი არ ქრის, გრძელი დღეა სექტემბერი,

სინიორებს ვერ გავუგე ვერაფერი...

თუ გინდა, რომ რამე მართლაც გააკეთო,

ძველი კარი მჭიდროდ უნდა გამოკეტო.

მერე სწრაფად მიდგე-მოდგე,

შენც ხომ იცი, ჩემო ხორხე?

რამე თუ არ მოიფიქრე,

დღეს დარჩები ზუსტად ისე,

როგორც ძველი სინიორი

ოცნებებს და ფიქრებს შორის;

ტყვეა იგი ოთხი კედლის,

მომდურავი დარჩა ბედის.

ფიქრებს წლები შეალია...

ახლა მთლად გადაირია,

გაანძრიე, გირჩევ ხელი,

თორემ ვერვინ ვერ გიშველის

შ-ე-ნ-ი თ-ა-ვ-ი-ს მ- ე-ტ- ი.

2016.

*** (იუმორესკა)

ჯანიმ სასწორი ითხოვა და თვალიდან გაქრა,
ახლაც არ ვიცი სინამდვილე, რატომ და რა ქნა?
არც თავად ჩანს და აღარც ნივთი, გამოხდა ხანი
და თანაც ჩუმად , გაზაფხულის მთვარიან ღამით,
რა იყო მისი უცნაური ჩვენთან სტუმრობა,
ეშმაკობა თუ სულელური ძველი ხუმრობა?
ვინ რას გაიგებს? დღე კი ქრება სწრაფად და სწრაფად
ლექსის სტრიქონებს თეთრი ფიქრის ხაზები ლამბავს,
მე დამჯდარი ვარ, დღეს ავლია თითქოსდა ზღუდე,
თქვენ გაარკვიეთ, იგი არის სწორი თუ მრუდე?

2016.

*** (იუმორესკა)

ბუნების მწვანე მონიტორი მოჩანს ფანჯრიდან,
მწველი ფიქრები გაფრინდა და ცამდე ავიდა,
ზეცაა ისე, როგორც ძველი, ლურჯი ეკრანი,
საცაა დილა გაიღვიძებს და ჰა, ეგ არის.
სინიორები მიმოდიან, აზრია უნდო,
დილით ჯილბერტო დავინახე, ბებერი მუდო.
მესმის აყეფდა ანტონიოს გამხდარი ძაღლი,
გაზარმაცდა და გაამაყდა დიდიც და ბავშვიც.
დღე მიდის სწრაფად, არ ჩერდება ერთი წუთითაც,
შორიდან მოდის უცნაურად რაღაც მუსიკა.
არსებობს ისიც, როგორც ყველა ამ ქვეყანაზე,
გაჩუმებულხარ, ჩემო მუზავ, მითხარი რაზე?

2016.

„აია, ცხოვრება?“(იუმორესკა)

ხალხი ძლიერ შეიცვალა ვატყობ,
კუჭზე ზრუნვას უნდებიან მარტო,
ყველგან მხოლოდ ტყუილი და ლიქნი,
დიდებაზე განუხრელი ფიქრი.
გაღიმება მზაკვრული და ნელი,
დაპირება ყასიდი და ძველი,
ახსოვთ მხოლოდ საკუთარი თავი
და მის გარდა არ დაეძებს არვის.

2016.

იწამეთ ღმერთი!

მოვა დრო ქვეყნად იქნება ბნელი,
წყვდიადი შთანთქავს კოსმიურ სივრცეს,
მოხდება ყველა მოუხდენელი, —
რომ ეს სამყარო ერთხმად დაიქცეს.
დაიმსხვრევიან ცაში ვარსკვლავნი,
ჯანღი დაფარავს მზესა და მთვარეს,
დაირღვევიან მთანი მაღალნი,
ჩაინთქმებიან ზღვას და მდინარეს.
ატყდება გრგვინვა და ქარიშხალი,
შავ უფსკრულებში დაიწყებს ღმუილს,
და დედამიწის გულის ფიცარი
შეეჭიდება ვაის და ვუის.
ორთქლადქცეული ბირთვული ლავა
ძარღვებს დააგლეჯს დალეწილ ქაოსს,
იქ მეცხრე ცაზე ეშმაკი ავა,
ნგრევის პროცესი რომ გაათავოს...
და იქ, შორიდან ... ბე კოსმოსიდან
სინათლის სხივი წამოვა ერთი,
უსაზღვრო სივრცეს დაეწერება:
ი-წ-ა-მ-ე-თ ღ-მ-ე-რ-თ-ი!

2015 წელი

***

მარტი წვიმის აბლაბუდას აბამს...
მარტი წვიმის აბლაბუდას აბამს,
ჩამოიქცა ვერცხლისფერი ზეცა,
ეს დენდები რას ფიქრობენ, ნეტავ?
თბილ ბუხართან არხეინად სხედან.
აჰა, ორნი თამაშობენ ბანქოს,
სტუმარს უნდა, რომ წარსული აქოს...
მარტი წვიმის აბლაბუდას აბამს...

2016.

***

ქარი არხევდა ყვითელ ფოთოლს,
როგორც პეპელას,
დენდი იდგა და ეწეოდა მარტო,
ნელ-ნელა,
აჰა, მოვიდა ფიქრთა ჯარი
ვინ იცის რაზე?
მზე მოჩანს ცაზე.

2016.

აღმოსავლურ მოტივზე

(„კიდევ დაასხი ეს ოხერი, თითოც დავლიოთ..“.) გ. რჩეულიშვილი

დალიე ღვინო, აგერევა ტვინი და ფიქრი,
მოგეჩვენება ოქროს კოშკად თვით ძველი ზვინი,
სახლი_სასახლედ, სულელი — ბრძენად, ზარმაცი_მუშად,
შენახულ ვერცხლად დაინახავ უბრალო შუშას.
ეზო იქცევა, როგორც ნაზი, მწვანე ბაღნარი,
მთავარია, რომ იგრძნო მისით, რაღაც ახალი.
ფიქრი გეწვიოს უეცარი, როგორც ზმანება,
არ შეგაშინოს მაისმა და მისმა ქარებმა.
ისევ დაასხი, შეიგრძენი სიამოვნება,
განა იქნება, ძველი ლოთის გამოსწორება?

2016.

***

წვიმა —

ცელქი, მოუსვენარი,
მოდის, მოკამკამებს, გვასველებს,
ვიღაც ემალება წვეთებს მოციალეს,
კრთის, საყვედურობს, კანკალებს.
მშიშარა, გაუბედავი
ადამიანი...
2016.

ისე იქნება, რაც უწერია

თუ ეს ქვეყანა დასაგმობია,
როგორ ყვავიან ბაღში ვარდები,
რატომ იმღერის ჩიტი გოგია
„ნუ გათათრდები, ნუ გათათრდები!“
მყინვარზე ყინვის განიაღვრება
ქარიშხლის შებმა მეხის გრიალთან,
დილის ცისკარის ამობრწყინება
რა კავშირშია ადამიანთან?
თუ ეს ცხოვრება სიზმრის ტოლია,
ზღაპარია და მითი, ლეგენდა
სიცოცხლეს აზრი აღარ ჰქონია
და სულერთია ვინ იმღერეთა.
მაგრამ სამყარო, მისი გამჩენი
არის ღმერთი და მისი გენია,
მისი ნებაა სხვა დანარჩენი,
ისე იქნება, რაც უწერია.

2016

ცას ისევ ჩამოდის ცრემლები...

გაცუდდა ამინდი...აცივდა, გაწვიმდა,
შიშველი ხეები მოჩანან ფანჯრიდან,
სუყველგან ტალახი გარეთ ვერ გადიხარ.
არავინ აღარ ჩანს ცარიელ ქუჩებში,
გმირებს ვერ მონახავ შენ მიწის მუშებში.
სჯობია დაწერო ზამთარზე, ქარებზე,
გახედე, ჯოვანი მომდგარა კარებზე,
კატა კი ნებივრობს ბუხართან მძინარე,
აპრილის სამია, დილაა, კვირა დღე.
გავაღე კარები, სტუმარი წავიდა,
ფრანჩესკოს ხმა ისმის:“მარსელო, რა გინდა?“
საღამოს ცას ისევ ჩამოდის ცრემლები,
გადანაცრისფერდა ზაფხულის ფერები,
გადივლის სიცივე, წვიმები, ქარები...
ისევ დაიკვრება ახალი ქნარები!

2016.

ვიმიანი საჭორეთის ქუჩებს

წვიმიანი საჭორეთის ქუჩებს,
დილიდანვე სევდიანად ვუმზერ,
ვზივარ, ფიქრებს ვუზიარებ ფურცელს...
დაიშალა შეუკრებლად „ბირჟა“
გუშინ „ ბრძენი“ აჭედებდა ფიცარს;
ის ექიმი მოიტანეს მთვრალი,
მელოტია, მუცელი აქვს მრგვალი,
მანქანიდან გადმოიღეს ისე,
უეჭველად მოსტეხავდნენ კისერს.
დომენიკო ყელამდეა ვალში,
შიშისაგან ვერ გამოდის კარში.
სინიორა უთვალთვალებს ყველას,
ისიც იცის, ვინ სად დაახველა.
ეს მარსელო ისევ ითვლის ბუზებს,
ელოდება თავისებურ მუზებს,
ჩაიკეტა, გასხვაფერდა ხალხი...
დაუბერდა ჩემს პერსონაჟს ძაღლი,
მარიანო გაიკრიფა ენად,
მარსელოსგან არ ვანსხვავებთ ბევრად.
დღეს კი ისევ ცრემლებსა ღვრის ზეცა,
მზიან ამინდს არ აპირებს ნეტავ?

2016.

მოლოდინი

დაიშლებიან მთებში ზვავები,
ხევში ლოდები ჩაიმსხვრევიან,
აღარ იქნება იქ ვარსკვლავები,
გარდიქმნებიან...
მე კი აქ ვდგავარ და... გელოდები.

2015 წელი

როცა მუზა მესტუმრება...

როცა მუზა მესტუმრება, გაიშლება შთაგონება.
სულ სხვაგვარად ამღერდება ჩემი გრძნობა და გონება.
ერთხმად აჭიკჭიკდებიან სიტყვები, ვით ჩიტუნები.
რითმის გორებს დააგროვებს , თუკი კაცი გაირჯები.
ასნაირი სიტყვის ძირი გრძნობის ალში იხარშება,
ზოგი კვდება, ზოგი ქრება, ზოგი კიდევ იბადება.
სიტყვა სიტყვას ერითმება,სიტყვა სიტყვას ეთვისება.
რა კარგია ზეციური ჩვენი ერის ეს თვისება.
ყვავილების სურნელებას, ყვავილების თაიგულებს
უფრო მეტად შეიგრძნობ და უფრო უხვად დაიგულებ.
ოღონდ ერთი უცნაური აზრი აგეკვიატება,
არ გასვენებს, არ გშორდება, ვიდრე არ დაიბადება
და როდესაც მოგშორდება, დაწყნარდები, დამშვიდდები,
წერტილს დასვამ ლექსის ბოლოს და მის სუნთქვას უკვირდები.

2016 წელი

23/12/2015

ღამის სურათი

დაღამდა. ცეცხლის მზე ჩავიდა, დაბინდდა.
ზეცამ გადაიკრა პირს შავი ზეწარი,
ლონგინოზ მამალი ნიგოზზე აფრინდა,
ლონგინოზს გული აქვს ქვასავით მაგარი.
    იქ, ბროლისქედში აკივლდნენ ტურები,
    ტყის პირას დაძვრება კუდგრძელა მელია,
    ტურების კივილით მეტკინა ყურები,
    ძაღლებიც აყეფდნენ, ნადირებს ელიან.
შუაღამეა და ისმის „ყიყლიყო“
მამალს სურს ღამე დალიოს ყივილით,
ზედიზედ უმატებს „ყიყლიყოს,“ „ყიყლიყოს“,
ქედი კი პასუხობს ტურების კივილით.
    დაიწვა ღამე და შუქია ერთგვარი
    კაცად გადაიქცა იქ ლანდად ვინც იყო,
    შორიდან მოისმა თოფის ხმა მჭექარი,
    მამალმა დაუმატა ნიგვზიდან „ყიყლიყო“.

2014 წელი

წარსულის აჩრდილები

ხეივანში მოდიოდა სასიძოთა „ჯარი“,
მზე იყო და თანაც ქროდა ქარი,
აივანზე დამდგარიყო ქალი,
სასიძოებს გააყოლა თვალი.
დიდ მუხებთან შეტორტმანდა რძალი,
მურიასკენ გაისროლა ძვალი.
„ამ ჭაში კი კვლავ არ არის წყალი!
გამიცალეს ამ ბაღნებმა ბალი.“
„მასპინძელო, მომაწოდე წყალი!
მაშვალი ვარ ჩამოსული, მალი,
მომიყვანეთ ის პირთეთრი ქალი!“
ბედს წიხლი კრეს, შეუთვალეს უარი.
ცხრაწყაროსთან ტირის სევდიანი ქალი:
„აღარ არის სასიძოთა „ჯარი“,
ნეტავ, დროზე გამეხილა თვალი...“

2015 წელი

წუხელ ტბაში ჩავარდნილა მთვარე

წუხელ ტბაში ჩავარდნილა მთვარე,
შუა წყალში ვარსკვლავები ყრია.
ალბათ, მეტი აღარ ძალუძს ცის მკერდს,
დაიკავოს, რაც ზედ აკიდია.
არ დაიხრჩვეს, არ დაიხრჩვეს ჩქარა!
მშველელები ცხარედ მიმორბიან,
არ კარგავენ გადარჩენის იმედს,
მალე დილას ველოდებით, მზიანს.
და როს დადგა ალიონი დილის,
მზის სხივებით შეიმოსა არე.
ტბის ნაპირზე ორი ბავშვი ტირის:
„დაიხრჩვაო ჩვენი კარგი მთვარე...“

2015 წელი

ჰო, დაუკვირდი კარგად

ლაჟვარდს მზის სხივი ქარგავს,

ხმელეთს ზურმუხტი შვენის,

ჰო, დაუკვირდი კარგად

ეს სამშობლოა შენი_

სიონში რეკვას,

მცხეთაში ლოცვას,

გელათის ელვას,

ალავერდს წირვას,

ხედავენ ცუდად...

მათ დაცვა უნდა...

2016 წელი

20/09/2015

ჰაიკუ

***

ველურმა ქარმა
წუხელ წაშალა
გაზაფხულის ნაზი ფერები...

***

ნაზი პეპელა,
ნაზი გრძნობა,
გაზაფხულს შვენის ეს საოცრება.

***

მინდვრის გვირილებს
ემალება ჭიამაია,
ცისფერ სინაზეს ასხივებდა დღეს ია_ია.

***

ცივი სითეთრე
ადევს გვირილებს...
ეს სითეთრეა მათი ოცნება.

***

ჩამქრალი წლები

მძიმედ აწევს მოხუცის ბეჭებს...

უცხო სარკმლიდან გაისმოდა კვლავ „რექვიემი“.

***

სიხარბის ხაზი

ადევს სახეზე...

შორს იუდასი დაგრძელდა თოკი.

***

ტრაბახა კაცი

ვითომ „ბრძენი“

და ა-რ-ა-ფ-ე-რ-ი.

***

წერს?

ვითომ „ წერს“

თავი მაინც პოეტად მოაქვს...

***

ვიჯექი მარტო,

ვებრძოდი რითმებს...

და იტალიას განვადიდები.

***

სიტყვა...

ღვთის სიტყვა...

ერთმანეთისთვის ბეწო სიკეთეს ვერ იმეტებენ.

***

ნაღვლიან მზერას

მოარიდებს მოწყენილ ხეებს...

ნეტავ, ამ ზაფხულს გაწვიმებას სულ არ აპირებს?

***

ხელს გადაუსვამს

ჩამოცვენილ ფოთლების გროვას,

ამ მწვანე ლეღვსაც ნაადრევი ჭაღარა ამკობს.

***

თითქმის დაცვივდა ყველა ფოთოლი

საბრალო ხენი...

შიშველ ტანზე მხოლოდ ტოტებს რომ იფარებენ...

***

ქარი არ ინდობს

მოხუც ობობას,

მთლად დაუფლითა აბლაბუდა უკანასკნელი...

***

დედის საფლავი...

იდუმალი ცრემლები ალტობდა მიწას...

ხმელი ბალახი ითვლის ნაფეხურს.

***

მთებივით ბრწყინვალე ელვარე თვალით

შემოგვხაროდა

დედის პატარა ხელიდან ქორწინების ოქროს ბეჭედი...

***

ნაზამთრალ ყვავილს

მარტი ისევ

აბუჩად იგდებს.

***

ამ ძველი სახლის

ნგრეულ კედლებში

ცოცხლობს პოეტის მწველი ოცნება.

***

შორს მაცქერალი

დიდი თვალებით

შენობის თაღთან იდგა ლოდინი...

***

პატარა კაცი

ცელით კლავდა

უმწეო ბალახს...

***

ტოტებს იფრებენ

სხეულზე ხეები,

რა ქნან, რომ სიშიშვლის რცხვენიათ!

2016.

23/12/2015

HOMO SAPIENS?

(ესე)

უძველესი ადამიანები გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ. აგროვებდნენ ფიჩხს, ნადირობდნენ. ისინი ჩვენზე გაცილებით ტანმორჩილი არსებები იყვნენ. 4 მილიონი წლის წინ უძველესმა ადამიანებმა გამართულად სიარული და ერთმანეთთან ურთიერთობა დაიწყეს. გავიდა დრო... განავითარეს ტექნიკა, შექმნეს მსოფლიოს შვიდი საოცრება, გამოიგონეს ტელევიზორი, კომპიუტერი, ათასგვარი მობილურები და აიფონები, დაიხატა“ მონა ლიზა“,“საიდუმლო სერობა“, დაიწერა ‘’ბიბლია’’, ‘’ვეფხისტყაოსანი“- მაგრამ ადამიანთა ურთიერთობები: მტრობა, ტაცებლობა, შური, სიხარბე, გაუტანლობა, ჩემი აზრით, ისევ გამოქვაბულის ხალხის დონეზე დარჩა.

ჰოი, HOMO SAPIENS!!!

ანა ფრანკი — საოცრება

(ესე)

ანა ფრანკის დღიურები... საოცრება!

კითხულობ პატარა, 13 წლის გოგონას დღიურებს და გიკვირს, გიკვირს მისი... ხანდახან ისევ ვაკვირდები წინასიტყვაობას, ვამოწმებ, ხომ არ ვცდები... ნუთუ , ეს ყველაფერი ამ პაწაწინა გოგონას ნააზრევია? საოცარია! გოგონასი, რომელიც მხოლოდ ცხოვრების საწყის ეტაპზე იდგა.

იცხოვრა, ნახა, განიცადა...

ერთობოდა, თანაუგრძნობდა, უყვარდა...

სწავლობდა, სძლევდა, შრომობდა...

საოცარია!

როგორ ჩაატია ამდენი სითბო, სევდა, სიკეთე, სიყვარული, სიცოცხლის მძაფრი განცდა 1942 წლის 12 ივნისიდან 1944 წლის 1 აგვისტოს შორის დაწერილ დღიურებში? საოცარია!

ყველაფერი ხომ თითქოს ჩვეულებრივ დაიწყო. ჰქონდა ოჯახი, ჰყავდა დედა, მამა, და, მეგობრები. დადიოდა სკოლაში, ცელქობდა, კისკისებდა, კე-

კლუცობდა, ალერსსა და ყურადღებას მოითხოვდა.

შემდეგ მოულოდნელად შეცვლილი ცხოვრება... სიცოცხლით სავსე გოგონა

იატაკქვეშ, ჩაკეტილ სამყაროში აღმოჩნდა. ძნელი იყო იქ ყოფნა. უმძიმესი რეალობა, უმძაფრესი შეგრძნებები...

და დღიური — _მისი ერთგული მეგობარი.

ანაც ადამიანი იყო, თანაც პატარა. „ზოგჯერ იმისიც კი მეშინია, სანამ ეს მძიმე დრო გაივლის, დავმახინჯდები. პირი მოკუმული დამრჩება, სახეზე კი მწუხარების ნაოჭები გამიჩნდება“ — ასეც წერდა.

„ გარეთ გამიშვით,“ გაჰკივის ჩემში ყველაფერი „მენატრება ჰაერი, სიცილი!“

— _ასეთი პერიოდებიც ჰქონდა.

ეს რვა ადამიანი თითქოს „წვიმის ბნელ ღრუბლებს შორის ლურჯი ცის ნათელ ნაგლეჯზე“ იყო მოქცეული. მაინც არ ნებდებოდნენ. პირიქით,

ანას ნიჭი გაიფურჩქნა, გაიზარდა, ჩამოუყალიბდა გარე სამყაროს მიმართ

კრიტიკული დამოკიდებულება.

დღიური ანას ხელში იარაღად გადაიქცა, რითაც ებრძოდა არაადამინობას, სიბნელეს, ურწმუნოებას, დაუნდობლობას, ფაშიზმს.

ბედისადმი დაუმორჩილებლობა, აწმყოსთან შეურიგებლობა, ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის — აი, რა დაგვიტოვა მისმა დღიურებმა. „ცხოვრებაზე ფიქრი რატომღაც სხვა გოგონებზე ადრე დავიწყე და ვიგრძე-

ნი, რომ ადამიანი ვარ. ადამიანი, რომელიც თავს არავის დააჩაგვრინებს.“

ანა ფრანკის დღიურები ნებისყოფას გვიწრთობს, უკეთესს გვხდის:“ თუ კაცმა იცის, რომ სუსტია, რატომ არ ებრძვის სისუსტეს, რატომ არ ცდილობს

ნებისყოფა გამოიწრთოს?“

ჩემი აზრით, მისი მკითხველი, მიუხედავად ეროვნებისა თუ რელიგიისა, ამ დღიურებით ისწავლის, გახდეს უფრო უკეთესი, კეთილი, შრომისმოყვარე.

„ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე, მაგრამ არ ვიცით რატომ და რისთვის. ვცხოვრობთ იმ მიზნით, რომ ბედნიერები ვიყოთ, ვცხოვრობთ სხვადასხვანაირად და მაინც, ერთნაირად... ბედნიერების მოსაპოვებლად შრომა და სიკეთისკენ სწრაფვაა საჭირო და არა სპეკულანტობა და სიზა რმაცე“. ეს ვრცელი ამონარიდიც ამის დასტურია.

ანა ფრანკის დღიური — _საოცრება!

ყოველი დროის მჩაგვრელის და მტარვალის წინააღმდეგ მიმართული. და კიდევ, უდიდესი რწმენა მომავლისა, დაუმარცხებელი რწმენა: „მე მაინც ვებ ღაუჭები, რადგან ჯერ კიდევ მჯერა, რომ ადამიანი კეთილია. მე არ შემიძლია სიკვდილზე, უბედურებაზე და ქაოსზე ვიფიქრო და ყველაფერი ამაზე ავაგო.. ვგრძნობ მილიონობით ადამიანის ტანჯვას და მაინც, როცა ცას შევყურებ, ვფიქრობ, რომ ყველაფერი უკეთესობისაკენ შემობრუნდება, სისასტიკეს და დაუნდობლობას ბოლო მოეღება და მიწაზე კვლავ მშვიდობა და სიწყნარე დაისადგურებს.“

ანას იდეალები მარადიულია. მწამს, ამ გაცივებულ სამყაროს დათბობისა.

ანა ფრანკ, თქვენ უკვდავი ხართ!

ანა ფრანკ, მიყვარხართ!

იღბლიანი ღრუბელი

(ეძღვნება მამა გაბრიელს)

ღრუბლების სამეფოში ცხოვრობდნენ: მამა ღრუბელი, დედა ღრუბელი და ქუნქულა შვილი ღრუბლები. მამა — რუხი, გოროზი, დედა — თეთრი, მსუბუქი

მამა რომ განრისხდებოდა ლურჯ ცაზე წამოვიდოდა სახეტიალოდ და წვიმასაც მოიყოლებდა თან. მერე დედა წყნარი, სათნო წამოვიდოდა მის დასაწყნარებლად. უფროსი შვილები დედას თან მიჰყვებოდნენ. ყველაზე პატარა, ქათქათა, ფუმფულა ღრუბელიკო შინ რჩებოდა.

ერთხელაც დედა ღრუბელი აუცილებელ საქმეზე წავიდა. უფროსი შვილებიც გაიყოლა თან. პატარა გააფრთხილეს, არ დაეტოვებინა სახლი და დედის მოსვლამდე შინ ჭკვიანად ყოფილიყო.

მოუსვენარი და ცნობისმოყვარე პატარა მცირე ხანს ერთობოდა თავისთვის,

შემდეგ მოწყინდა და გასეირნება მოეგუნება. ჯერ გარეთ გამოიჭვრიტა, შემდეგ

გამოვიდა.

როგორი ლურჯი და კრიალა იყო ცა! ძალიან მოეწონა მასზე სრიალი.

წავიდა და წავიდა...

რა ლამაზი სანახები დაინახა ზევიდან: მწვანე ველ_მინდვრები, ნაირფერი ყვავილები, ვერცხლისფერი მდინარეები. ზევიდან ხალხსაც კი არჩევდა. აი, ერთმა

რამ დააინტერესა: ამაღლებულ ადგილზე ლამაზი სამლოცველო იდგა. უამრავ

ხალხს მოეყარა თავი. მიდიოდნენ და საფლავთან ჩერდებოდნენ, ზედ რაღაც

ნივთებსა და ყვავილებს აწყობდნენ. მერე სახენათელი ბრუნდებოდნენ. პატარებიც

გაარჩია. ერთი პატარა გოგონა დედას მკერდზე აეხუტებინა და მდუმარედ იდგა.

მერე გოგონამ სხმარტალი დაიწყო. დედა კი ძირს არ უშვებდა.

ცნობისმოყვარე ღრუბელი ადგილზე გაიყინა. „ნეტავ, რატომ?“_გაიფიქრა,“ ალბათ

რაღაც სტკივა. „ დედა გოგონას ხელში ვეღარ იჭერდა, მერე ფრთხილად საფლავის კიდესთან დაუშვა. გოგონა მიწას დაემხო. დიდხანს იყო ასე

და უცებ, უცებ... პატარა ღრუბელს სუნთქვა შეეკრა:პატარა გოგონა ფეხზე

წამოდგა, ჯერ ერთი ფეხი გადაადგა გაუბედავად, მერე_ მეორე და მერე

კი გაიქცა.

— დედა, დედა!_ყვიროდა გახარებული.

— შვილო, მოიცა! — გაოგნებული დედა უკან მისდევდა.

ღრუბელიკომ ამდენ განცდებს ვეღარ გაუძლო და უკან გამობრუნდა.

საღამოს დედა ღრუბელმა კი დატუქსა, მაგრამ მაინც შვილი იყო და დაქანცული პატარა ღრუბელიკო ფუმფულა, ქათქათა საწოლში ფრთხილად ჩააწვინა.

რა ექნა, ყველა დედას ხომ თავისი შვილი უყვარს!

20/09/2015

„ობოლა“

ჩვენი სახლის აივანზე ერთი მოხუცი ობობა ცხოვრობს, რომელსაც მე „ობოლა“ დავარქვი. რატომ? იმიტომ, რომ სულ მარტოა. გამოვა საღამოს საწყალი,

გააბამს ქსელს და იობის მოთმინებით ელის მსხვერპლს. აჰ, მეტი არა ჩემი მტერი, ერთი ბუზი ან პეპელა არ გაბმულა მის ხალვათ ბადეში ანუ ქსელში. ელის და ელის, „უსაზღვროა მისი მოლოდინი“ დიდ ვაჟა-ფშაველას რომ დავესესხო. აფსუს, ვაჟა რომ ცოცხალი იყოს, რა კარგ მოთხრობას შექმნიდა „ობოლაზე“.

შესახედავადაც საოცარია: მსხვილი, თეთრთვალება, ხანდახან კაცივით მიყურებს.

ერთხელ ფოთოლი ვესროლე, მოვატყუე ჩემი აზრით, დავჯექი ყვითელ სკამზე

და სეირს ვუყურებდი.

შეირხა ქსელი. „ ობოლამ“ ქელიცერები შეარხია და მსხვერპლისაკენ სწრაფად დაეშვა. ნურას უკაცრავად! „ ობოლა „ და სიბრიყვე? ხომ გაგიგონიათ, „ბებერი

ხარის რქანიც ხნავენო...“ „ობოლამ“ დაათვალიერა „მსხვერპლი“, მერე ფრთხი

ლად გამოხსნა და ძირს ისროლა, თავზე გადმომაყარა ფოთლები.

ჰე, ესეც შენი მოხუცი და თვალისჩინდაკარგული „ ობოლა“.

ობობა უძახე შენ!

2015 წელი

სინიორ პაოლოს დაბადების დღე

ჩემი საჭორეთი... ხომ არ დაგავიწყდათ, ჩემო მკითხველებო? არც მე დამვიწყნია... აგრძელებდნენ ჩემი საჭორეთლები ისევ ისე ცხოვრებას: ბევრს ჭორაობდნენ, ბევრს ლაპარაკობდნენ (ხანდახან ჩხუბობდნენ კიდეც), ცოტას მუშაობდნენ

ხანგამოშვებით ქეიფობდნენ და ასე მიათამაშებდნენ ცხოვრებას.

ერთ მშვენიერ დღეს ე.წ. ბირჟაზე თავშეყრილებს გაახსენდათ, რომ ბავშვების

საყვარელი მეზღაპრის, სინიორ პაოლოს დაბადების დღე ახლოვდებოდა.

— რა კაცი! რა კაცი! პირდაპირ ბაჯაღლო ოქრო,_წამოიწყო სინიორა ენატანიამ,

სწორედ აღნიშვნის ღირსია მისი დაბადების დღე.

_აბა, აბა, ჩვენი კუთხის მშვენებაა და საჭორეთის გვირგვინია სინიორ პაოლო!

წამოწყებული საუბარი გააგრძელა სინიორა რომელეტამ და მის მეუღლეს, საჭორეთის კოლორიტს, სინიორ ფრანჩესკოს გადახედა.

სინიორ ფრანჩესკო რუბიკონთან მდგარი იულიუს კეისარივით გაჰყურებდა გარს მომდგარ საზოგადოებას. მანაც რომელეტას ინტერსთა ბილიკში შეუხვია

და ღრმა ფიქრის შემდეგ დაეთანხმა წამოწყებულ წინადადებას.

— კარგი იქნება, დავაფასოთ ჩვენი პაოლო. მე თუ არ ვითავე, მე თუ არ გავახმაურე ქუჩა, მაგას თქვენ თავს ვერ მოაბამთ. აბა, დავტრიალდეთ ყველა და ხვალ

ერთი კოხტა სუფრა გავაწყოთ. შენ, რომელეტა „ტორტელი“, „პიცა“ და ნამცხვრები მოამზადე. სინიორა კატერინა „რავიოლს“ მოიტანს, სინიორა ალისა

„რიზოტოს“ შეგვაწევს. დომენიკო, მოგკლავს მარტო ამ ჩაქუჩის კაკუნი,“ პარმეზანი“ შენზეა. სინიორ მარსელო, ძვირფასი ღვინო შენ მოგაქვს. აბა, დანარჩენებმაც არ დაზოგოთ თავი, ხვალ საღამოს აქ ვიკრიბებით!

მეორე დღეს, საღამო ჟამს, საჭორეთლებმა დათქმულ ადგილას მოიყარეს თავი. საჭმელ_ სასმელი უხვად მოიტანეს, საჩუქრებზე კი თავი შეიკავეს, უსაჩუქროდ მობრძანდნენ. ერთმანეთის იმედი ჰქონდათ, გულში ფიქრობდნენ: „მე

თუ არ მივიტან, ჩემ გვერდით მყოფი ხომ მაინც იყიდის საჩუქარსო.“

საჭორეთლები სუფრას მიუსხდნენ და ცოტა შეზარხოშდნენ კიდეც. გასაოცარი მაინც ის იყო, რომ ისე შეჰყვნენ ლხინს, თვით სინიორ პაოლოც კი დაავიწყდათ.

— _მიირთვი, დომენიკო, შე კაცო! — -აძალებდა მარსელო ისედაც მთვრალ დომენიკოს.

სინიორ დომენიკო თავს უკანტურებდა და სასმელი ტანსაცმელზე ეღვრებოდა.

სინიორ ფრანჩესკო თავის სტიქიაში იყო, ტრაბახით ყველას ყურები გამოუჭედა.

სინიორა ენატანია არც აქ აჩერებდა ენას და გვერდით მჯდომ რომელეტას ყურთან უკაკანებდა:

— _შეხედე, შეხედე სინიორ მარსელოს! მთლად გადაჭამა სუფრა, მალე, ალბათ, ჩვენც შეგვჭამს. ეს დომენიკო კი ასე რამ დაათრო, ხან ერთს რომ ეყუდება და ხან მეორეს. სინიორა ალისას რომ გამოუპრაწავს თვალები და ზეცას აჰყურებს რას ელოდება, ნეტავი? ერთი სინიორ ალფონსოს და მარიოს უყურე, რა ახითხითებთ? მე ხომ არ დამცინიან?

კიდევ დიდხანს იკაკანებდა სინიორა ენატანია, რომელეტა რომ არა.

— _კი, მაგრამ, — წამოიყვირა სინიორა რომელეტამ,_სინიორ პაოლო რამ დაგავიწყათ , ხალხო? პაოლო რომ არ მოგვიწვევია?

სინიორ ფრანჩესკო, რომელიც იაფფასიან სიგარეტს ეწეოდა და მის გარშემო მყოფ საზოგადოებას ზეაღმატებულად შესცქეროდა, რომელეტას შეკითხვამ გამოაფხიზლა.

— ეჰ, სინიორ პაოლო, ჩვენი იუბილარი დაგვავიწყდა.

სუფრა აირია, ახმაურდა. სხვადასხვა ბრალდებების სეტყვამ წამოუშინა. ბოლოს შეთანხმდნენ და ერთხმად შეჰყვირეს:

— სინიორ პაოლო, დაბადების დღეს გილოცავთ!

მანამ იმეორეს, სანამ იქვე, საჭორეთის ქუჩებში სასეირნოდ გამოსულ სინიორ პაოლოს არ გააგონეს. სინიორ პაოლო აჟრიამულებულ მეზობლებს მიუახლოვდა,

შლიაპა მოიხადა და მადლობა გადაუხადა.

ვისაც ფეხზე დგომა შეეძლო, პაოლოს ეხვეოდა და ულოცავდა.ზოგი თავს იმართლებდა. ვისაც თავის მართლება არ შეეძლო, სუფრაზე ეძინა.

სინიორ პაოლო სუფრასთან მცირე ხანს შეყოვნდა. მერე კი ისე შეუმჩნევლად გა

შორდა მათ, როგორც მიუახლოვდა.

შორიდან ისევ ისმოდა მხიარული ხმები.

_“ეჰ, ჩემი უცნაურები“, — ჩაიღიმა სინიორ პაოლომ და საჭორეთის ქუჩებს ნელი

ნაბიჯით გაუყვა...

სინიორ ტულიოს ზღაპარი

სინიორ პაოლოს დაბადების დღე ხომ გახსოვთ, ჩემო ერთგულო მკითხველებო? ძალიან კარგი!

ამბავი მერე დატრიალდა, თუ დატრიალდა!

სინიორ პაოლოს წასვლის შემდეგ მეზობლები აიშალნენ. სინიორ მარსელო, ყბებს

რომ არ აჩერებდა სუფრასთან, ცუდად გახდა, ცოტა ზედმეტი მოუვიდა და შემდეგ ღებინება დააწყებინა.

— მიშველეთ, მომეხმარეთ, ვკვდები, ხალხი არა ხართ?_ეძახდა მშველელებს და სიმწრისაგან ათასგვარად იგრიხებოდა. როგორც იქნა, სინიორა კატერინამ მოისაზრა და ხმამაღლა განაცხადა:

— აბა, რას დაყუდებულხართ? წამალს მეც გამოვიტანდი, მაგრამ თაგვებმა ისე

ამირიეს სახლი, რომ ვერაფერს ვაგნებ. სასწრაფოდ სინიორ ტულიოსთან გავაქანოთ.

სინიორ ტულიო საჭორეთის მკვიდრი ექიმი გახლდათ. საშუალო ტანის, ჩაფსკვნილი, თმებშეთხელებული, ლოყებღაჟღაჟა, თხელი ნესტოებით. ექიმი ტულიო

ყველაფერს მკურნალობდა, ამიტომ მასთან ყველანაირი ავადმყოფები მიჰყავდათ.

ოთხადმოკეცილი სინიორ მარსელო სინიორებმა ფრანჩესკომ, დომენიკომ და მარიომ ძლივს მიიყვანეს ექიმ ტულიოს სახლამდე.

სინიორ ტულიო ნასვამი გახლდათ და კარგა ხანს ალოდინა მეზობლები.

— არა, რას იკლავდი თავს, შე კაცო? — ბრალს უყენებდა მარსელოს დომენიკო,ცოტა გეჭამა და გესვა, ზომა შენ არ იცი და წონა. ამ დღეში ხომ არ ჩავარდებოდი?

— _აბა, მე კი არ მომივა მასე, — დაიწყო ტრაბახი ფრანჩესკომ,_საჭმელიც ბლომად მაქვს და სასმელიც. ჩემი ეზო გადაბურულია ხილით, წყალიც ბევრი მაქვს და ჰაერიც, არაფერი არ მაკლია!_მოაყოლა დასკვნა ნათქვამს და კმაყოფილმა ჩაიხითხითა.

— _კარგი, კარგი, ნუ გამოგვიჭედე ყურები. ამ კაცს მივხედოთ, არ შემოგვაკვდეს

ხელში! — შეედავა სინიორ მარიო.

ამ დროს ექიმი ტულიოც გამოჩნდა, სვენებ-სვენებითა და სლოკინ-სლოკინით

ძლივს გასინჯა პაციენტი.

საწყალ მარსელოს სახე გაუყვითლდა, თვალები ჩაუწითლდა, გულის ცემა კი

შეუნელდა.

— რა ეშველება, ექიმო? — შეეკითხა სინიორ მარიო.

— მგონი , გადარჩება, — დააიმედა ექიმმა ტულიომ,_წაიყვანეთ ახლა შინ, აგერ დანიშნულება.

მარიომ გაურკვეველი ხელით ნაწერი დანიშნულება გამოართვა.

ამასობაში სინიორა კატერინამ და სინიორა ალისამაც მოაკითხეს.

— ექიმო, ცივ_ცივი ტილო ხომ არ დავადოთ თავზე?_ჩაეკითხა კატერინა.

— არ იქნება ურიგო_ დაეთანხმა ექიმი ტულიო.

— თბილი სოდიანი წყალი ხომ არ დავალევინოთ და კუჭიც გავუწმინდოთ?_არ

ეშვებოდა კატერინა.

— _ არც ეგ იქნება ურიგო! — შებარბაცდა ტულიო.

საბრალო მარსელო კეთილი მეზობლების წყალობით ამჯერად გადარჩა.

სინიორა ენატანიამ მთელი საჭორეთი ჩამოიარა და მარსელოს ამბავი ყველას ჩამოურიგა და არც სინიორ ტულიო დავიწყნია.

.....

იმ ღამეს მაინც მშვიდად დაიძინეს საჭორეთლებმა. გათენდებოდა და მზის სხივებთან ერთად ახალი ჭორებიც მოეფინებოდა მათ სამკვიდროს.

სიცარიელე

(ჩანახატი)

მე ლონდა ვარ. ვერ მიცანით? თუმცა რაღას მიცნობთ. ძალიან შევიცვალე. ცხოვრებამ ფეხქვეშ გამთელა, გამანადგურა. არადა ერთ დროს თქვენსავით ჯანსაღი, ლამაზი გოგონა ვიყავი, რომელიც ყველაფერს შეჰხაროდა, უყვარდა, ოცნებობდა.

სტუდენტობაც ასე გავატარე. თითქოს ოცნებებიც მისრულდებოდა, მაგრამ...

ერთ საღამოს ლექციებიდან დაბრუნებულმა ქუჩაში დაჭრილი ვაჟი შევამჩნიე. გულგრილად როგორ ჩავუვლიდი? მოვუარე, დავეხმარე.

ასე გავიცანი გურამი. თითქოს ყველაფერი კარგად დაიწყო, მაგრამ ... გურამი ნარკომანი აღმოჩნდა...

რა არ ვეცადე, რა არ მოვიმოქმედე,მაგრამ ამაოდ. ცხოვრება მაინც გრძელდებოდა. ცხოვრება?

ჩვენი პირმშოს დაბადებას მოუთმენლად ველოდებობი, მისთვის ყველაფერს ვიტანდი: ცემას, ჩხუბს, სიდუხჭირეს. დაიბადა ჩვენი შვილიც. მაგრამ ვაი ამ დაბადებას!

მხოლოდ ხორცის უფორმო მასა მივაბარეთ მიწას.

გურამიც მალევე გარდაიცვალა ნარკოტიკით...

დავრჩი სიცარიელეში.

აქვს აზრი ჩემს არსებობას? (რადგან ამას ცხოვრებას ვერ დავარქმევ!)

მხოლოდ სიგარეტის ამარა დავრჩი. ვიყიდი რამდენიმე ღერ სიგარეტს და ნელ-ნელა მივყვები სასაფლაოსაკენ მიმავალ გზას სიცარიელისაკენ...

წ ე რ ი ლ ი

ვიცი, გუშინ მელოდი, მაგრამ უნდა მაპატიო, რომ ვერ შემოგიარე. კაცმა რომ თქვას, არც არაფერს ვაკეთებდი, მთელი საღამო სახლში ვიჯექი და ვფიქრობდი, იქნებ უკეთესიც იყო შემომევლო და ერთად გვეფიქრა.

გუშინ, სკოლაში უსიამოვნება შემემთხვა: როგორც ყოველთვის, 8 საათზე ავდექი სკოლაში წასასვლელად. ვგრძნობდი, რომ რაღაც ცუდი მოხდებოდა. სკოლისაკენ დავადექი გზას. გარემოს ჯერ კიდევ ალიონის ნისლი ჰბურავდა, ჰაერში დამდგარი ნესტიანი ღამის ნასუნთქს ლორწო ჩამოსდიოდა და დედამიწაზე ლიპიან

ლაფად იღვრებოდა. დილის სუსხი ლოყებს მიწითლებდა და მიწვავდა.

უცებ ცა გაშავდა, ღრუბლები ერთად შეგროვდნენ, ტუჩები მოკუმეს და დაუშურებლად გამოაგზავნეს დედამიწაზე წვიმის წვეთები, რომლებიც საშინელი სისწრა_

ფითა და სიძლიერით მეცემოდნენ სახეზე და ისედაც გაწითლებულ ლოყებს უფრო და უფრო მიწვავდნენ. შემოდგომის წვიმამ ყოველთვის ასე იცის.

ნაბიჯებს ძლივს ვადგამდი. დახეულ ფეხსაცმელს სკოლაში მერხს ვაფარებ, მაგრამ წვიმას ვეღარ დავუმალე.(ესეც დედამ ვიღაცისაგან სამადლოდ მიცემული,

გაცვეთილი მომიტანა.) გამოხუნებულ ქურთუკს შიგნით თხელი მაისური მაცვია. (ესეც ვიღაცის გამონაცვალი.) არა, დედას ვერაფერს ვეტყვი. ისედაც მძიმედაა

ავად. დილიდან საცხობიდან გამოტანილ ხაჭაპურს დაატარებს ქუჩაში და საღამოს დაღლილ- დაქანცულს განძრევის თავიც აღარ ააქვს, უგემურად გაღეჭავს ლუკმას და ნაქირავები ოთახის კუთხეში მდგომ საწოლზე მიეგდება. უთენია საუზმეს მომიმზადებს, შესიებულ ფეხებზე ჩუსტებს ამოიცვმს, მერე ამოიხვნეშებს:

„ჭკვიანად იყავი , ჩემო იმედოო, ეგებ, გამოცხვეს ობლის კვერიო!“ და კარს გაიხურავს.

როგორც იქნა სკოლამდე მივაღწიე. საკლასო ოთახის კარები შევაღე, წყალი წურწულით ჩამომდიოდა. თვალი გადავავლე ჯგუფს, ბავშვები მერხებთან ისხდნენ.

ყველას კარგად ეცვა. ჩემს მერხს მივაშურე, ბოლო მერხს, სადაც მარტო ვზივარ ხოლმე.

უცებ ჩემ წინ მსხდომმა ,კლასში ახლადგადმოსულმა გოგონებმა(ყველას ზევიდან რომ დაჰყურებდნენ) ერთმანეთს გადაულაპარაკეს:

— _როგორ აცვია ამ საწყალს, ასე საშინლად ჩაცმული მგონი მთელს დედამიწის ზურგზე არავინ არ დადის.

— _აბა,აბა! — _დაუდასტურა მეორემ.

— _მეცოდება, თორემ მაგის გვერდით არ დავდგებოდი, საზოგადოებაში მასთან ერთად როგორ უნდა გამოჩნდეს ადამიანი? სასაცილოა ნამდვილად!...

ეს სიტყვები გულს ლახვარივით დამესო, სული გამითელა, სიმწრის ოფლმა დამასხა. მთელი გაკვეთილის განმავლობაში თავს ვიკავებდი, რომ ტირილი არ დამეწყო და ჩემი დარდი არ გადმომენთქია. დამთავრდა თუ არა გაკვეთილი, თავი გავი

თავისუფლე და სახლისაკენ ტირილ_ტირილით წამოვედი.

ისევ წვიმდა. ჩემი ცრემლები წვიმის წვეთებს უერთდებოდა. ჩემი სული კიოდა თითქოს:“რატომ, რატომ არ შეიძლება, რომ მეც მათნაირი ვიყო, მეც ხომ ადამიანი

ვარ, მერე რა რომ ღარიბი ვარ, რა ვქნა, ეს ხომ ჩემი ბრალი არ არის, მე ხომ არ ამირჩევია ასეთი ცხოვრება, განა სიღარიბე დანაშაულია?! გთხოვ, მირჩიე რამე!

ძალიან ცუდად ვარ. ერთ რამეს გთხოვ, როდესაც ამ წერილს წაიკითხავ,არ შეგეცოდო, არ მინდა ვინმეს ვებრალებოდე! მე მხოლოდ ის მინდა, რომ ვინმეს

ესმოდეს ჩემი ტკივილი...

როგორ იხსნა ჯოვანინომ თავისი ქვეყანა

(პიესა)

I მოქმედება

(მთხრობელი) — იყო ერთი გაძვალტყავებული ქვეყანა, რომელსაც ვერაგი და შურიანი მეფე მართავდა. მას ქვეშევრდომები სახის ფერის გამო პომიდორ I-ს ეძახდნენ. მეფე ღარიბებს არ ინდობდა

და დიდ გადასახადს ახდევინებდა. საწყალი ხალხი გაჭირვებაში ცხოვრობდა, პომიდორ I გართობასა და დროსტარებას არ იკლებდა.

(II ვეზირი) — თქვენო უდიდებულესობავ, თქვენს ბრწყინვალე და მზესავით ელვარე სამეფო ტახტს დღეს სტუმრები ეწვივნენ შორეული ქვეყნებიდან. თქვენი უკაშკაშესი სხივები მათაც უნდათ რომ

მოეფინოს.

(მეფე) — ვინები არიან? შემოუშვით რიგრიგობით!

(II ვეზირი) — სტუმრები შორეული კოლხეთიდან.

(კოლხთა სიმღერა)

პომიდორ, ტახტზე შეზრდილო, უმაღლესზედა,

დაგშვენდებოდა ჩოხა ქართული მხარზედა,

ვეფხვივით შეინავარდებ მაღალ მთაზედა,

უკან მოგყვება ვეზირნი გზა და კვალზედა.

წყაროზე ხალხი ჩამოვა, მშიერმუცელა,

მაინც შენ შემოგყურებენ თვალში სუყველა,

გაუხსენი სიმდიდრესა გულის კარები,

შეუთამაშე, გაშალე ბროლის მკლავები.

(III ვეზირი) — სტუმრები ესპანეთიდან

(ცეკვა „ესპანური“)

(II ვეზირი) — სტუმრები ინდოეთიდან)

(ცეკვა „ინდური“)

პომიდორ I — კარგია, კარგია! ფრიად ნასიამოვნები ვარ. ახლა კი ჩემი ახალი ბრძანებაც მოისმინეთ:მე, მეფე ვბრძანებ, ამიერიდან ჩემს სამეფოში ამინდზედაც გადასახადი დაწესდეს! თუ მზიანი ამინდი იქნება, გადასახადი უკლებლივ უნდა გადამიხადოთ!

(მთხრობელი) — დაღონდა ხალხი. ამ ქვეყანაში ხომ მწველი მზე იცოდა. ხალხი წელებზე ფეხს იდგამდა, რომ გადასახადი გადაეხადა.

იმ ქვეყანაში ერთი პატარა ბიჭიც ცხოვრობდა, სახელად — ჯოვანინო.

მხიარული და კეთილი ჯოვანინო ხშირად ოცნებობდა:

(ჯოვანინო)_(წამოწოლილი)-ეჰ, ნეტავ ბევრი ტკბილეული მომცა! ეჰ, ნეტავ ბევრი კანფეტები ჩამოყაროს ცამ ჩემთვის! ლამაზი ტანსაცმელიც მინდა! არა, არა, მირჩევნია ჩემი ოჯახი და ჩემი ხალხი გადასახადისაგან თავისუფალი მენახა. არაფერი მინდა, ოღონდ თავისუფლები ვიყოთ.

(მთხრობელი) — ერთ დღეს ჯოვანინო კასინოს მთებში იყო წასული ფიჩხის საძებნად. მუშაობაში შემოაღამდა. უკან მომავალი ვიღაც ბერიკაცს წამოეწია, რომელსაც ფიჩხის კონა აეკიდა და ძლივს მიათრევდა ფეხებს.

(ჯოვანინო) — გამარჯობა, ბაბუ! მოგეხმარები, წაგაღებინებ ტვირთს.

(მოხუცი) — გაიხარე, ბაბუ! გაიზარდე, თუ მაგ სიკეთეს მიზამ, რაღა აჯობებს. დიდი მადლობა,ბიჭუნა!

(მთხრობელი) — მალე მოხუცის ქოხიც გამოჩნდა.

(მოხუცი)-დამელოდე , ბიჭუნა!

(მოხუცმა ქ ოხიდან ულამაზესი მარაო გამოიტანა და ჯოვანინოს გაუწოდა.)

(მოხუცი)- აი, ბიჭუნა, გამომართვი, ამის წყალობით შენ მუდამ ახალგაზრდა იქნები. ეს ჯადოსნური მარაოა, რამდენჯერაც გაიქნევ, იმდენი წლით გაახალგაზრდავდები. გამომართვი, ნუ გერიდება!

(მთხრობელი)_ ჯოვანინომ ჩამოართვა მარაო, თვალიერება დაუწყო,

როცა მადლობის სათქმელად მიბრუნდა, აღარც მოხუცი იყო და აღარც ქოხი.

II მოქმედება

(II ვეზირი) — მეფეო, მეფეო, იცით? თურმე ჩვენს ქვეყანაში ერთ გლეხის ბიჭს ჯადოსნური მარაო უშოვია!(გაკვირვებული)

(III ვეზირი) — მერედა იმ გლეხს რად სჭირდება? მეფის საკადრისი ნივთია, გეფიცებით, თვით თქვენს თავს, თქვენო უდიდებულესობავ!..

(II ვეზირი აწყვეტინებს საუბარს) — ჰოი, ნეტავ იცოდეთ როგორ ბრწყინავს და ანათებს...

(III ვეზირი) — თვალს ვერ მოსწყვეტთ მის ელვარებას!

(II ვეზირი) — ამბობენ, ადამიანი რამდენჯერაც გაიქნევს, იმდენჯერ გაახალგაზრდავდებაო!

(მეფე) — (წამოიჭრება ტახტიდან) თუ ეგრეა, მერე აქ რაღას დგეხართ? უფრო ადრე ვერ შემატყობინეთ? გინდათ, რომ მოვხუცდე და დავუძლურდე? სხვა ავიდეს ტახტზე ხომ? ახლავე წადით და ის ბიჭი თავის მარაოთი აქ მომგვარეთ! თორემ თავებს წაგაცლით ორივეს!(ყვირის განრისხებული).

(მთხრობელი) — მეფემ ჯოვანინო მოაყვანინა და მარაო მოსთხოვა. ბიჭი დათანხმდა, ოღონდ მეფეს ხალხისათვის გადასახადი უნდა მოეხსნა.

გახარებული პომიდორ I თავის საწოლ ოთახში ჩაიკეტა.

მეფეს გამოსვლა საკმაოდ შეაგვიანდა. გაოცებული ვეზირები ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

(II ვეზირი III ვეზირს)

— რა ხდება, ნეტავ?

(III ვეზირი) — რა კითხვა უნდა? ალბათ, ჩვენი მბრძანებელი მარაოს იქნევს, მალე მოგვევლინება თავისი ბრწყინვალებით.

(II ვეზირი) — ჩამიჩუმიც რომ არ ისმის?

(მეფის საწოლი ოთახიდან ჩვილი ბავშვის სასოწარკვეთილი ტირილი

არ წყდებოდა.)

(მთხრობელი) — ბოლოს ვეზირებმა გაბედეს კარის შეღება და რას ხედავენ? მეფის საწოლზე პატარა, ჩვილადქცეული პომიდორ I დაგორებულიყო და მწარედ ჩხაოდა.

თურმე ჯადოსნურ მარაოს დახარბებოდა მეფე და ზედმეტი მოსვლოდა- მთლად დაპატარავებულიყო.

(II ვეზირი) — ახლა რაღა ვქნათ?(პატარა უჭირავს ხელში.)

(III ვეზირი)- დავიღუპეთ, მბრძანებელო, ვინღა მოჰფენს ნათელს ჩვენს სამყაროს? ვაი, ვაი, ვაი...

(II ვეზირი)- დავრჩით ბნელში და უკუნში... ვაი, ვაი, ვაი...(მოთქვამენ)

(შემოდის მეფის პირველი ვეზირი)

— შეწყვიტეთ მოთქმა, უგნურნო!(ჩვილს გამოართმევს და მოეფერება) რა კარგი პატარაა! გამოსავალი ეს იქნება, ჯერ სხვას მივანდოთ ქვეყნის მართვა და ეს პატარა კი სწორად გავზარდოთ!

(ვეზირები ტაშს უკრავენ პირველ ვეზირს)

— -შენ, ჩვენო ბრძენო პირველო ვეზირო, შენ უნდა მართო ქვეყანა, არ დაგვღუპო, უარი არ გვითხრა. გთხოვთ!

(პირველი ვეზირი)- კარგი, ქვეყანას საფრთხეში ვერ ჩავაგდებთ. მე

ვმართავ ქვეყანას დროებით. ეს პატარა სწორად აღვზარდოთ, ხოლო ის მარაო ისევ კეთილ ჯოვანინოს გადავცეთ, ვიცი, ის მარაოს გონივრულად გამოიყენებს.

(მთხრობელი) — ეს აზრი ყველას მოეწონა. ჩვილი მეფე ძიძას ჩააბარეს, ტახტზე დროებით პირველი ვეზირი დასვეს. ჯადოსნური მარაო კეთილ ჯოვანინოს გადასცეს.

დაისვენა ქვეყანამ, ამოისუნთქა ხალხმა. სიმშვიდემ და სიკეთემ დაისადგურა ირგვლივ.

ჩვენი ზღაპარიც აქ დავასრულოთ.

(ფარდა.)

2016 წ.31 .08.